Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 4 (132) გამოც. მე-4 წელი | ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი | ბერლინი, 22 იანვარი, 1945 წ.

ქართველი ოფიცერი

საკმარისია ერთხელ გადაავლოთ თვალი ქართველი მეფეებისა და სახელოვანი მხედართმთავრების ბრძოლებს საქართველოს მთლიანობის შენარჩუნებისათვის, რომ მყისვე შევამჩნევთ იმ დიდ მხედრულ ნიჭსა და ბრძოლის წარმოების უნარიანობას, რომელიც მათთვის მუდამ დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა.

დაწყებული ძლევამოსილი და შარავანდედით გაბრწყინვებული დავით აღმაშენებლიდან, საქართველოს ისტორიაში არა-ერთი და ორი სახელოვან სარდალს ვხვდებით. ისინი ისე, როგორც თვით საქართველოს აღმაშენებელი, პირადი მაგალითით და ბრძოლაში უშუალო მონაწილეობით გმირი ვაჟკაცის, ბრძოლის ხელოვნების უდიდესი მცოდნისა და სამშობლოსადმი თავდადებული პატრიოტის იშვიათ მაგალითს წარმოადგენდნენ მებრძოლი მამულიშვილებისათვის. საქართველოს სახელოვანი წარსული სავსეა ქართველი მხედართმთავრების ლეგენდარული ბრძოლებით, რომლებმაც თავი ისახელეს და ცნობილი გახდნენ არამარტო ჩვენს სამშობლოსა და მეზობელ ქვეყნებში, არამედ მთელ ევროპაშიც. ზოგიერთისთვის ალბათ ცნობილია პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის სიტყვები, რომელიც მან წარმოსთქვა პატარა კახის მიმართ, მისი ძლევამოსილი ბრძოლების გამო: ევროპაში მე ვარ, აზიაში კი უძლეველი მეფე ერეკლეო.

თუ ბერძნები ამაყობენ ალექსანდრე მაკედონელით, რომაელები — იულიუს კეისრით, ფრანგები — ნაპოლეონით, რუსები — პეტრე დიდით, ჩვენ, მიუხედავად ჩვენი სიმცირისა, თამამად შეგვიძლია ხმა ავიმაღლოთ და ვიამაყოთ ისეთი ბრძენი მეფეებითა და გმირი მხედართმთავრებით, როგორიც იყვნენ: დავით აღმაშენებელი, თორნიკე ერისთავი, გიორგი სააკაძე, პატარა კახი და სხვები. მთელი მსოფლიო იცნობს ბოროდინოს ბრძოლების გმირს, ნაპოლეონის მოწინააღმდეგეს, გამოჩენილ გენერალ პეტრე ბაგრატიონს, რომლის ძარღვებში ქართული სისხლი სჩქეფდა. ჭეშმარიტად დიდია და სახახელო ის საქმე, რომელიც მათ გააკეთეს. ჭეშმარიტად საამაყოა ჩვენთვის მათი გმირობა და სამშობლოსათვის თავდადება. ამიტომ თვითეული ქართველი ოფიცრისათვის დღეს ნათელი უნდა იყოს, რომ საამაყო წარსული და გმირი წინაპრები, ბოლშევიზმის მონობის უღელქვეშ მგმინავი ქართველი ერი და საყვარელი საქართველო, გვავალებენ ყველას ვიყოთ მოწოდების სიმაღლეზე და არ შევარცხვინოთ მამაპაპათა სახელოვანი ტრადიცია.

ქართული მებრძოლი ნაწილების ისტორია გერმანიაში, საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი ოფიცერი და როგორ უნდა წარმართოს მან თავისი მუშაობა, რათა ნაკლები წინააღმდეგობითა და დანაკარგით მიაღწიოს სასურველ შედეგს. ქართული ნაწილების მიერ ჩატარებული ბრძოლებისა და ქართული საკავშირო შტაბის ენერგიული მუშაობის შედეგად, ჩვენს ლეგიონსა და საველე ათასეულებში უკვე დაინიშნა ქართული ხელმძღვანელობა. ამით ქართველი ოფიცრის როლი და მნიშვნელობა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში ერთიორად გაიზარდა. ყველა ქართველმა ოფიცერმა არამარტო თავისი მუშაობა ქართველ მოხალისეებთან, არამედ თავისი პირადი ცხოვრებაც კი უნდა დაუქვემდებაროს იმ უდიდეს ამოცანას, რომლის შესრულებისათვის მოწოდებული ვართ დღეს ჩვენ.

ყველასთვის ცხადია, რომ ბოლშევიკების მიერ ცეცხლითა და მახვილით დაპყრობილ საქართველოში არ შეიძლებოდა ეარსებათ წმინდა ქართულ ნაწილებს. ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული ჯარის გაგრძელებას ჩვენი ნაწილები წარმოადგენენ. ეს დიდი ფაქტი კი ქართველ ოფიცერს უდიდეს ამოცანას აკისრებს. ძველი ქართული მხედრული ტრადიციების მთლიანად შენარჩუნება და ქართველი მოხალისეებისათვის მათი გადაცემა მხოლოდ ქართველ მეთაურსა და ოფიცერს შეუძლია. მან უნდა გააღვივოს ჩვენს მოხალისეებში სამშობლოსადმი სპეტაკი სიყვარულის, მტრისადმი სამკვდრო-სასიცოცხლო სიძულვილის გრძნობა. მან უნდა დაანთოს მათში ბრძოლის ცეცხლი და შექმნას თვითეული რიგითი მოხალისისაგან სამშობლოსათვის თავდადებული გმირი მებრძოლი. ის ფაქტი, რომ კავკასიის ერებს შორის პირველად ქართულმა ნაწილებმა მიიღეს უფლება მყოლოდათ დანაყოფთა და ლეგიონის საკუთარი მეთაურები, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს ოფიცრებს. ქართველმა ოფიცერმა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი შესაფერისად უნდა დააფასოს და ის დიდი ნდობა, რომელიც გერმანულმა ხელმძღვანელობამ გამოუცხადა, ღირსეულად გაამართლოს. ეჭვი არ არის, ქართველი ოფიცერი წარმატებით გამოიყენებს გერმანიის ჯარში სამსახურს, გერმანელ ოფიცრებთან მუშაობის პრაქტიკას და აქედან ყველაფერს საუკეთესოს აითვისებს. მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ თავისუფალი საქართველოს დამცველნი და შეიარაღებული არმიის ფუძემდებელნი მომავალში ისინი არიან და ამიტომ მათ სამშობლომ ისტორიული მისია დააკისრა. ამ მისიის განხორციელებისათვის კი მათი მოვალეობაა უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდონ ხელი დაკისრებულ საქმეს და მსოფლიოს სხვა არმიების ოფიცერთა შორის სახელი მოიხვეჭონ.

რა უნდა ახასიათებდეს თვითეულ ქართველ მებრძოლ ოფიცერს? ცხადია, ხასიათის სიმტკიცე, ძლიერი ნებისყოფა და სამხედრო ცოდნა. ქართველმა ოფიცერმა კარგად უნდა დაიხსომოს, რომ უმოქმედობა ან საქმის თავისდროზე შეუსრულებლობა დღეს დაღუპვას უდრის და რომ ის ამით ჰღუპავს არამარტო თავისთავს, არამედ მთელ ქართულ საქმესაც. თვითეული ოფიცერი უნდა ხელმძღვანელობდეს არსებული პირობებისა და მდგომარეობის მიხედვით გამომუშავებული პრინციპებით, რომელთა მიღება შეიძლება თავისთავზე დაუღალავი და ენერგიული მუშაობით და მიმდინარე ომის კრიტიკული შესწავლის შედეგად. ოფიცრებისათვის განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია პირადი კავშირი მოხალისეებთან, მათი გულისტკივილის გაგება. ოფიცერი მხოლოდ მაშინ არის საყვარელი მებრძოლებისათვის, როცა იგი კარგად იცნობს მათ, იზიარებს მათს გაჭირვებას და მათთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს. ასეთ ოფიცერს, მეთაურს ჯარისკაცი არასდროს არ უღალატებს, არ დასტოვებს ბრძოლის ველზე.

დღეს, როდესაც ჩვენ სამშობლოს გარეთ ვიმყოფებით, როდესაც მოკლებული ვართ მშობლიურ მზრუნველობას და სიყვარულს, ყოველი მოხალისე თავის მეთაურში ხედავს მზრუნველ ბატონ-პატრონს. ამიტომ ქართველი ოფიცრის მოვალეობას შეადგენს თვალისჩინივით გაუფრთხილდეს თვითეული მებრძოლის სიცოცხლეს და შეინარჩუნოს იგი.

გამოჩენილი გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი კლაუზევიცი აღნიშნავდა: „სწრაფად მოქმედების შედეგად მტრის ყოველგვარი ღონისძიება დასაწყისშივე შეიძლება ჩაიხშოსო" — ამიტომ ქართველმა ოფიცერმა განუწყვეტელი მეცადინეობითა და კვალიფიკაციის ამაღლებით, საბრძოლო ტექნიკის საფუძვლიანი დაუფლებით, სამხედრო ვარჯიშში მონაწილეობის მიღებით უნდა შეიქმნას მტკიცე დასაყრდენი საფუძველი ბრძოლის ველზე სწრაფი და სწორი მოქმედებისათვის.

დღეს, როდესაც სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა ასე გართულებულია, ქართველი ოფიცრისათვის უდიდეს ღირსებას წარმოადგენს ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ შეიარაღებულ ძალას. ამიტომ დიდია ის პასუხისმგებლობაც, რომელიც დაკავშირებულია ქართველი ოფიცრის სახელთან. ჩვენ გვწამს, რომ ქართველი ოფიცრები ღირსეულად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, გააგრძელებენ სახახელო ქართულ სამხედრო ტრადიციებს და ისტორიაში ოქროს ასოებით ჩასწერენ საქართველოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ახალ ფურცლებს.



ქართული ლეგიონის მეთაური კაპიტანი ხ. კობიაშვილი და ადიუტანტი ნ.

იმპერიის მარშალ ჰერმან გერინგს 52 წელი შეუსრულდა

მიმდინარე წლის 12 იანვარს იმპერიის მარშალ ჰერმან გერინგს 52 წელი შეუსრულდა.

ჰერმან გერინგი თავიდანვე მიემხრო ფიურერს და მისი უახლოესი თანამებრძოლი გახდა. გერინგი ითვლება რიტჰოფენის ცნობილი გმირული ესკადრის სარდლად პირველ მსოფლიო ომში. მან შექმნა გერმანიის საჰაერო ფლოტი, რომელმაც მოიპოვა მსოფლიო დიდება და ყოველდღიურად გვიჩვენებს გმირულ მაგალითებს საბრძოლო მოქმედებათა დროს. ჰერმან გერინგი დღეს ამ საჰაერო ფლოტის მთავარსარდალია.

გერინგი ითვლება აგრეთვე გერმანიის სახალხო მეურნეობის ე. წ. „ოთხწლედის" რწმუნებულად. აქ მან შესძლო იმდენად განემტკიცებინა გერმანიის მეურნეობა, რომ იგი სავსებით დამაკმაყოფილებლად ასრულებს ომის მიერ წამოყენებულ ყველა მოთხოვნილებას.

დიდი გერმანიის მარშლის სახელწოდების მინიჭებით ფიურერმა საუკეთესოდ აღნიშნა თავისი დაუღალავი თანამებრძოლის ღვაწლი სახელმწიფოს წინაშე.

საზღვაო ფლოტმა მტრის 2.519 თვითმფრინავი გაანადგურა

გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შენაერთებმა 1944 წელს დიდი ზარალი მიაყენეს ინგლის-ამერიკელთა საჰაერო ფლოტს. სულ ამ წელს ჩამოგდებულია 2.519 თვითმფრინავი, უმეტეს შემთხვევაში მრავალმოტორიანი. ეს ციფრი, რომელიც გაცილებით სჭარბობს წარსულ წლებში ჩამოგდებულ თვითმფრინავთა რიცხვს, არ შეიცავს დაზიანებულ თვითმფრინავებს, რომელნიც დაიმსხვრნენ მიწაზე დაშვებისას თავიანთ ბაზებზე დაბრუნების შემდეგ.

შვეციის ჟურნალი გერმანელთა სამხედრო ძლიერების შესახებ

შვეციის ჟურნალი „უპსალა" იხილავს გერმანელთა წინააღმდეგობის სიმტკიცეს დასავლეთის ფრონტზე. წერილში „შპეერის ზეიმი" აღნიშნულია გერმანული სარდლობის აუჩქარებელი და ფართოდმოფიქრებული უკანდახევა საფრანგეთიდან. გერმანელებმა თავი მოუყარეს თავის ნაწილებს საზღვრებთან, შეავსეს ახალი ძალებით და შემდეგ მოაწყეს საუკეთესო დაცვა, რომელიც შეტევაში გადავიდა.

„როდესაც ერთი წლის წინათ, — სწერს ჟურნალი, — შპეერი ლაპარაკობდა ახალ შეიარაღებაზე, მოკავშირეთა ბანაკში ამ განცხადებას პროპაგანდად სთვლიდნენ. მაგრამ ძალიან ჩქარა ბოლშევიკებმა განიცადეს ახალი გერმანული იარაღის დარტყმის ძალა, რამაც მათ დიდი ზარალი მიაყენა".

„რა დარჩა სამოთხიდან?"

ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ ამერიკის სამრეწველო კავშირის პრეზიდენტი ფრედერიკ კროფორდი დაბრუნდა ამერიკაში საფრანგეთსა და ბელგიაში მოგზაურობის შემდეგ. იგი აღშფოთებულია იმ ცივი მიღებით, რომელსაც ამერიკელებს უწყობენ საფრანგეთში.

კროფორდი აცხადებს: გერმანელთა ოკუპაციის წლებში საფრანგეთი და აგრეთვე ბელგია ეკონომიურად აყვავდნენ, ეხლა კი იქ ქაოსი სუფევს.

გაზეთი „ლე პტი პარიზიენი" კვლავ გამოდის

რამოდენიმე თვის იძულებითი შესვენების შემდეგ კვლავ განახლდა გაზეთი „ლე პტი პარიზიენ" გამოსვლა. ომამდე ეს გაზეთი ითვლებოდა მილიონზე მეტი ტირაჟით და ითვლებოდა ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ გაზეთად მთელ საფრანგეთში. გერმანელთა ოკუპაციის პერიოდშიც გაზეთი დიდი წარმატებით ვრცელდებოდა. ამჟამად გაზეთის თანამშრომლებმა გერმანიაში განაახლეს მისი გამოცემა. მოწინავე წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გაზეთი „ლე პტი პარიზიენ" მოწოდებული იქნება ემსახუროს საფრანგეთის ხელშეუხებელ ინტერესებს და ფრანგ ხალხს.

საბჭოთა პრესა პაპის წინააღმდეგ

„პრავდამ" მოათავსა დიდი წერილი რომის პაპის წინააღმდეგ. წერილში, რომელიც მეტად მკვეთრ ფორმებშია დაწერილი, ავტორი აკრიტიკებს პაპის საშობაო მიმართვას კათოლიკური მსოფლიოსადმი. ავტორი ამტკიცებს, რომ პაპა სრულიად არ ალაპარაკებს გერმანიის დანაშაულ მიმართ ამბებში. მართლაც, ამ მიმართვაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი გერმანიის წინააღმდეგ. „პრავდა" სწერს: პაპის ასეთი გამოსვლა არ წარმოადგენს შემთხვევით ამბავს და გარკვევით ლაპარაკობს ვატიკანის პოლიტიკურ განწყობილებაზე.

საბერძნეთის ნაციონალური კომიტეტი

ამ დღეებში გერმანიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა საბერძნეთის ნაციონალური კომიტეტი. კომიტეტის ამოცანას შეადგენს დაიცვას საბერძნეთის ეროვნული ინტერესები და განსაკუთრებული მფარველობა გაუწიოს გერმანიაში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ბერძენ მუშებს. საბერძნეთის ნაციონალური კომიტეტი სთვლის თავის თავს ევროპის ანტიბოლშევიკური ფრონტის ერთ-ერთ რგოლად.

კომიტეტში შედიან საბერძნეთის პოლიტიკური მოღვაწენი, მათ შორის საბერძნეთის უკანასკნელი მთავრობის მინისტრ-პრეზიდენტის მოადგილე ჰექტორ ცირონიკოსი. კომიტეტს თავმჯდომარეობს კუნძულ კრეტოსის ყოფილი გუბერნატორი იანის პასადაკისი. საბერძნეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელად ითვლება კონსტანტინე გულასი.

ინგლისელები მზად არიან იბრძოლონ უკანასკნელ ამერიკელ ჯარისკაცამდე

ამერიკელი ტყვეები ხშირად გამოსთქვამენ აღშფოთებას თავისი მოკავშირეების უმოქმედობის გამო. საშობაოდ მეორე არმიის ინგლისელმა ჯარისკაცებმა მიიღეს შვებულება დღესასწაულებზე სახლში გასამგზავრებლად, როდესაც ამერიკელები ამ დროს სისხლიან ზარალს განიცდიდნენ. თუ რა განსხვავებაა მოკავშირეთა შორის ბრძოლებში მონაწილეობის მხრივ, გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: 16-დან 25 დეკემბრამდე ინგლისელებმა დაჰკარგეს მხოლოდ 60 კაცი მოკლულის სახით და 21 კაცი ტყვე. იმავე დროის განმავლობაში ამერიკელების ზარალი შეადგენს 100.000 კაცს. არდენთან ბრძოლებში ინგლისური ტანკები არ იღებდნენ მონაწილეობას. ამერიკელებმა ორი კვირის განმავლობაში დაჰკარგეს 1.440 თვითმფრინავი.

ჟდანოვი ჩავიდა ბუქარესტში

გაზეთი „დაგენს ნიხეტერის" ცნობით, საბჭოთა საკონტროლო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ჰელსინკიში გენერალ-პოლკოვნიკი ჟდანოვი ჩავიდა ბუქარესტში. მას აქვს საგანგებო და მნიშვნელოვანი დავალებები და როგორც სჩანს დიდხანს დარჩება რუმინეთის დედაქალაქში. გაზეთი შემდეგ სწერს, რომ ჟდანოვი გავიდა ჰელსინკიდან სწორედ შობის წინა დღეს. საბჭოთა საკონტროლო და საზავო კომისიის ხელმძღვანელობა ფინეთში მან დაავალა თავისი შტაბის უფროს სავენკოვს. გაზეთი სთვლის, რომ ჟდანოვი აღარ დაუბრუნდება თავის საქმიანობას ჰელსინკიში. კომისიის მუშაობის პირველი პერიოდი, გაზეთის აზრით, დამთავრებულია.

დაზავება ათენში

საბერძნეთში მყოფი ბრიტანული არმიის მთავარსარდალ გენერალ სკობისა და ელასის ჯარების ხელმძღვანელს შორის ათენში ხელმოწერილია შეთანხმება, რომელიც შევიდა ძალაში 15 იანვარს. შეთანხმება ითვალისწინებს დაზავებასა და ელასის რაზმების მიერ ზოგიერთი ოლქების განთავისუფლებას. ელასის ჯარებმა უნდა გადასცენ ინგლისელებს ყველა სამხედრო ტყვე და მძევლად აყვანილი, გარდა საომქალაქო პირებისა, რომელნიც აყვანილნი იყვნენ მძევლებად.

როგორც იუწყებიან, შეთანხმების მიხედვით ელასის ჯარები ათავისუფლებენ ქალაქ სალონიკის თავისი მიდამოებით, აგრეთვე ინეა-ლამია-ფარსალას ხაზის აღმოსავლეთით მდებარე მთელ მხარეს, პელოპონესზე პიროს-არგოსის მხარეს და კუნძულებს ციკლადასა და სპორადას.

დაზავების პირობების თანახმად, ელასის ჯარები არ იქნებიან განიარაღებული, როგორც ამას მოითხოვდა საბერძნეთის მინისტრ-პრეზიდენტი პლასტირასი.

კოლმეურნეობები პოლონეთში

ლუბლინის ახალი მთავრობის მეთაურმა გააფრთხილა ბოლშევიკების მიერ „განთავისუფლებული" პოლონეთის ქალაქების მოსახლეობა, რომ სოფლის მეურნეობის აღსადგენად ყველა უნდა გაემგზავროს საველე სამუშაოებზე. უარის შემთხვევაში მათ მოელით ქალაქიდან გადასახლება. სავალდებულო შრომადღეების შემოღება და საზოგადო მეურნეობების შექმნა მაჩვენებელია იმისა, რომ პოლონეთში მალე საკოლმეურნეო სისტემას დაამკვიდრებენ.

„ქალაქის საბჭო" იტოვებს უფლებას თავისი შეხედულებით გაგზავნოს მოქალაქეები საველე სამუშაოზე. ეს აძლევს შესაძლებლობას ბოლშევიკებს გასწმინდონ ქალაქები გასაბჭოების მოწინააღმდეგეთაგან.

ამერიკული ფლოტის დანაკარგი

3-დან 6 იანვრამდე, ფილიპინების კუნძულების მიდამოებში იაპონელებმა ჩასძირეს ამერიკელთა 5 ავიამზიდი, 1 საბაზო გემი, 2 კრეისერი ან საბაზო გემი, 1 კრეისერი და 16 სატრანსპორტო ნავი.

გარდა ამისა, დაზიანებულია 3 ავიამზიდი, 2 კრეისერი ან საბაზო ხომალდი, 1 გამოურკვეველი ტიპის კრეისერი, 1 ნაღმმზიდი და 2 სატრანსპორტო ნავი.

უკანდახევის დროს

„დეილი ექსპრესის" კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლის-ამერიკელების უკანდახევის დროს ელზასის მოსახლეობა მოიცვა სიხარულისა და ილუზიების გრძნობამ. გაზეთი შემდეგნაირად აღწერს ამერიკელთა უკანდახევას: „მოქალაქენი ქუჩებზე იყვნენ გამოფენილნი, ისმოდა მხიარული შეძახილები, ზოგიერთი იფურთხებოდა კიდეც მიმავალი ჯარისკაცებისაკენ. ყველა მათ ღიმილი გადაჰკრავდა სახეზე".

რუზველტის მოწოდება

ინგლისის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ რუზველტმა მოწოდებით მიმართა სახელმწიფოს ყველა ხელმძღვანელ მოხელეს, რომელშიც, სხვათაშორის, ნათქვამია:

„ებლანდელ კრიტიკულ მომენტში, როდესაც პროდუქციის გამომუშავება, უმაღლეს წერტილამდე უნდა იქნას აყვანილი, იმედებს ომის მოკლე ხანში დამთავრებაზე, შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ და შეაფერხონ ომისთვის აუცილებელი სამხედრო საჭურვლის დამზადება. ამიტომ ყველა სახელმწიფო მოხელეს ევალება თავი შეიკავოს მსგავსი განწყობილებისაგან".

მოწინავე პოზიციებისაკენ.

ახალი სამხედრო ტექნიკაში. გერმანელების უძლიერესი ტანკი „კენიგსტიგრი".

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

აღმოსავლეთის ფრონტზე 12 იანვარს საბჭოებმა დაიწყეს ძლიერი საზამთრო შეტევა, რომელსაც დიდიხანია ელოდებოდა გერმანული მთავარსარდლობა. საბჭოთა შეტევა, მრავალრიცხოვანი არმიებით, სატანკო შენაერთებითა და საჰაერო ნაწილებით დაიწყო აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარზე ებენროდესა და შლოსბერგთან, შემდეგ, ნარევთან ოსტენბურგის ორსავე მხარეს, ვარშავის ჩრდილოეთით ვისლობუგის სამკუთხედთან, პულავის ხიდმისასვლელი სიმაგრიდან ვისლაზე და აგრეთვე ვარკასა და ბარანოვთან. ვისლასა და ლისაგორას შორის საბჭოთა ჯარებმა შესძლეს გაერღვიათ გერმანელთა თავდაცვის ხაზი მდინარე ნიდუზე. ფრონტის მთელ სიგრძეზე, მემელიდან დაწყებული მდ. დუნაიმდე, მიმდინარეობს გაფთრებული ბრძოლები. პირველი 4 დღის განმავლობაში ფრონტზე აღმოსავლეთ პრუსიასა და კარპატებს შორის საბჭოებმა დაჰკარგეს 500-ზე მეტი ტანკი.

ზამთრის ბრძოლებმა მეტად სასტიკი ხასიათი მიიღო არდენის მთებშიც. ფრონტის გათანაბრებისა და ძალების უკეთესი კონცენტრაციის მიზნით, გერმანულმა ჯარებმა, რომელნიც ნაწილობრივ გადასული იყვნენ მდინ. ურტეზე, მტრის დაწოლის გარეშე დაიხიეს უკან.

გერმანელების გარღვევა მაგინოს ხაზზე ხატენსა და რიტერსჰოფენს შორის გაფართოვდა და გაძლიერდა. შუაელზასში გერმანული ნაწილები 2 ადგილას გადის შემოერტყნენ მტრის შენაერთებს და მოსპეს ისინი. რეინის რაიონი რეინაუსსა და ერსტეინს შორის სრულიად გაიწმინდა მოწინააღმდეგისაგან.

იტალიის ფრონტზე მნიშვნელოვანი ბრძოლები არ ყოფილა.

საბჭოთა ჯარების ცდა, დაეძლიათ ბუდაპეშტის გარნიზონის გმირული წინააღმდეგობა, უშედეგოდ დამთავრდა. პლატენის ტბასა და დუნაის შორის, აგრეთვე სლოვაკიის საზღვრების სამხრეთით, გერმანული ნაწილები, მიუხედავად მტრის ძლიერი წინააღმდეგობისა, შეიჭრნენ მტრის განლაგებაში და უკუაგდეს მისი კონტრშეტევები. მთავარი ბრძოლები აქ მიმდინარეობდა სტულვეისენბურგის რაიონში და ბლიაუენშტაინსა და მდ. ხერნადის შორის.

ლონდონი განუწყვეტლივ იმყოფება შორსმსროლი იარაღის ცეცხლქვეშ.

ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროსთან ჩაძირულია მტრის 1 კრეისერი და 1 ნაღმმზიდი.

1944 წლის განმავლობაში გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ჩამოაგდეს 2.519 ინგლის-ამერიკული თვითმფრინავი, რომელთაგან თითქმის ყველა ოთხმოტორიანი ბომბდამშენი იყო.

○

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, აღმოსავლეთის ფრონტზე ვისლის ნაპირას ბოლშევიკებმა თავი მოუყარეს 160 მსროლელ დივიზიას და 25 სატანკო კორპუსს, რის შემდეგ დაიწყეს გაფთრებული შეტევები გერმანელების თავდაცვითი პოზიციების წინააღმდეგ.

მიუხედავად დიდი დანაკარგისა, მტერმა შესძლო დაეკავებინა ვარშავა, ჩენსტოხოვი და ტომაშევი. მწვავე ბრძოლები გრძელდება.

უმაგალითო თაღლითობის შემთხვევა ლონდონში

ლონდონში აღმოაჩინეს უმაგალითო თაღლითობის აქამდე გაუგონარი შემთხვევა. მთავარი ბრალდებულის როლში გვევლინება ლორდი მელჩეტი, ურია. მისი ნამდვილი გვარია ჰენრი მონდი. იგი არის ცნობილი სიონისტის ალფრედ მონდის შვილი. მელჩეტმა მოახერხა მიეღო მონოპოლია დამზადებინა ხელისუფლებისათვის რაღაც ქიმიური პროდუქტები, რაზედაც მისმა წარმოებამ მოიგო რამდენიმე მილიონი გირვანქა სტერლინგი.

ლორდ მელჩეტს ეკავა საზოგადოება „იმპერიალ კემიკალ ინდუსტრის" დირექტორის თანამდებობა. კვლევაძიებამ დაადასტურა, რომ ამ ფირმამ მიიღო დაკვეთა ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის საჭირო აღნიშნული ქიმიური პროდუქტების დაახლოვებით 80 პროცენტი. გამოირკვა სენსაციური ცნობები. მელჩეტმა, რომელიც ისევე, როგორც მისი მამა, დიდი გავლენით სარგებლობს კონსერვატიული პარტიის განსაზღვრულ წრეებში, შესძლო დაენიშნა ქიმიური საკონტროლო კომისიის პასუხსაგებ თანამდებობებზე თავისი ხალხი. მათზე დაკისრებული იყო დაკვეთების გაცემა. ამ კომისიის დირექტორი ერთდროულად ითვლებოდა მელჩეტის ტრესტის ერთ-ერთ დირექტორად, ხოლო კომისიის 5 დანარჩენი წევრიდან, სამი ისევე ეკუთვნოდნენ ტრესტის მართველობას.

ეს სკანდალი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რამდენად სასარგებლოა ებრაელი მსოფლიო ომი ურიებისათვის.

მონტგომერის ახალი დანიშვნა

ვაშინგტონში მიღებული ცნობების თანახმად, მონტგომერი დანიშნულია აგრეთვე ორი ამერიკული არმიის მთავარსარდლად: იქ არ ეხებიან ამ საკითხის ტექნიკურ მხარეს, მაგრამ ხაზგასმით მიუთითებენ წმინდა სამხედრო აუცილებლობაზე. თვითონ რუზველტმა პრესის კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქმე ეხება მხოლოდ რეგულარულ სამხედრო-საველე ოპერაციებს.

ლონდონის გაზეთები აღნიშნავენ, რომ მიღებული ზომები ეთანხმება „გერმანელთა შეტევით შექმნილი მდგომარეობის ლოგიკას". გაზეთები გაცხოველებით იხილავენ და მსჯელობენ მონტგომერის სამხედრო ღირსებებზე. „დეილი ტელეგრაფს" მონტგომერის დანიშვნის ცნობა მოჰყავს იმ ამბავთან დაკავშირებით, რომ ჩერჩილი და იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი უკვე დაბრუნდნენ მოკლევადიანი მგზავრობიდან საფრანგეთში, სადაც ისინი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ეიზენჰოვერთან, დე გოლთან და მონტგომერისთან.

გაზეთი „დეილი მეილი" ულოცავს ეიზენჰოვერს „სამხედრო კრიზისის" დროს სარდლობის შემადგენლობის რეორგანიზაციის გამო.

1944 წელი

ზ. მაღალაშვილი

გასულმა, 1944 წელმა პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის გარდამტეხი ცვლილებები მოიტანა.

ეს წელი აღინიშნა მოკავშირეთა ძალების მაქსიმალური დაძაბვით პოლიტიკურ და, განსაკუთრებით, მილიტარულ დარგებში ომის დასამთავრებლად და გერმანიის საბოლოოდ დასამარცხებლად.

თეირანის კონფერენციაზე, რომელიც 1943 წლის დეკემბერში მოხდა ჩერჩილის, რუზველტისა და სტალინის მონაწილეობით, შემუშავდა მოკავშირეთა წინსვლის გეგმის მთავარი ხაზები 1944 წლისათვის და ევროპა, ისე როგორც შორეული აღმოსავლეთი, მილიტარულ საოპერაციო სფეროებად და პოლიტიკურ გავლენათა ზონებად დანაწილდა. კონცენტრირებული შეტევით აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან უნდა მიეტანათ იერიში ევროპის ციხესიმაგრეზე, მის ციტადელზე — გერმანიის იმპერიაზე, ელვით და ნანგრევებად ექციათ იგი.

ამ გეგმით მოკავშირეები ვარაუდობდნენ, რომ გერმანიის საბოლოო დამარცხებას გასული წლის ოქტომბერ-ნოემბრამდე შესძლებდნენ, როგორც ამას ყოველთვის ტრიუმფალურად წინასწარმეტყველებდა ინგლის-ამერიკული პრესა.

1944 წელს საბჭოებმა დაიწყეს აღმოსავლეთის ფრონტის ყველა უბანზე ფართო, შეუნელებელი შეტევები.

ინგლის-ამერიკელებმა გააძლიერეს ახალი ჯარებითა და მასალით თავისი დაწოლა გერმანიის ფრონტზე იტალიაში და გააცხოველეს საჰაერო თავდასხმები გერმანიის კომუნიკაციებსა და ინდუსტრიაზე მაგრამ პირველ რიგში მათ ნაცარტუტად აქციეს გერმანული ქალაქების საცხოვრებელი უბნები, რითაც ამაოდ ჰფიქრობდნენ გაეტეხათ გერმანელი ერის წინააღმდეგობის ძალა და გამოეწვიათ ერთგვარი ჯანყი გერმანიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

ვინაიდან ვერც ბოლშევიკების ხანგრძლივი შეტევებით, ვერც საჰაერო ტერორით მოკავშირეებმა ვერ შესძლეს დასახული მიზნის მიღწევა, ინგლის-ამერიკელები იძულებული გახდნენ პირველად ამ ომში თავისი საკუთარი სისხლის დიდი რაოდენობის გაღებით საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროზე გადმომსხდარიყვნენ.

სამი მსოფლიო იმპერიის ადამიანთა და მასალათა უზარმაზარი რეზერვები ამ გიგანტურ ბრძოლაში გერმანიის წინააღმდეგ იქნა გადმოსროლილი.

გარდა ამისა, აღმოსავლეთში საბჭოების მიერ, სამხრეთ-აღმოსავლეთში საბჭოებისა და ინგლისელების მიერ, ხოლო დასავლეთში ინგლის-ამერიკელთა მიერ წაქეზებულ იქნა გერმანელთაგან დაკავებული ოლქების მოსახლეობა გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად. საიდუმლო მოძრაობას ამ ქვეყნებში ფულით, ამუნიციითა და ყველა სახის საომარი საშუალებებით ამარაგებდნენ ერთი მხრივ მოსკოვი და მეორე მხრივ ლონდონი.

ამ ომის გადამწყვეტი ფაზის დასაწყისში გერმანია იძულებული იყო ბრძოლა მიელო გარეშე პერიფერიებზე, რომლებიც ასეული და ათასეული კილომეტრებით იყვნენ დაშორებული გერმანიის სამხედრო ინდუსტრიისა და რეზერვების წყაროებისაგან. მისი კომუნიკაციები, რომლებსაც მტრის საჰაერო თავდასხმები მუდმივად უშლიდნენ ხელს, იმ ქვეყნებზე გადიოდა, რომლებიც აჯანყებით იყვნენ მოცულნი. გერმანიის მილიტარულმა და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ამის გამო გადასწყვიტა, მიუხედავად ყოველგვარი პრესტიჟის შელახვისა და მტკივნეული სამეურნეო დანაკარგისა, რაც დიდ სანედლეულო და სამრეწველო ოლქების დატოვებაში გამოიხატებოდა, მტრის შეიარაღებული ძალები იქ გაეჩერებინა, სადაც ეს მას სტრატეგიული მოსაზრებით უფრო ხელსაყრელად ეჩვენებოდა.

სწორედ მილიტარულად და პოლიტიკურად დაძაბულ გასულ შუა ზაფხულს, ამ საბედისწეროდ მძიმე დღეებში, ფიურერზე მოხდა საზიზღარი ხელყოფა, რომელმაც გერმანიის ხალხისა და ევროპის საბედნიეროდ, შედეგი ვერ გამოიღო და, რომელსაც, პირიქით, რიგების სასარგებლო გასუფთავება და გაწმენდა მოჰყვა, რითაც შესაძლო გახდა მთელი გერმანელი ხალხის ნამდვილ ტოტალურ შესაძლებლობათა მთლიანი დარაზმვა.

მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ინგლის-ამერიკელთა სრული განზრახვა და ის ანგარიშები შეიტყეს, რითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ, მათ თანდათანობითი ბრძოლებით, რაც მოპირდაპირეს არაჩვეულებრივ ძვირ ფასად დაუჯდა, დაცალეს საფრანგეთი და ბელგია. გერმანელების ზარალიც არ ყოფილა უმნიშვნელო. გარდა ამისა, გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობამ დაჰკარგა საფრანგეთი და ბელგია — მდიდარი ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის ქვეყნები, მაგრამ ომის მიმდინარეობის შემდგომმა თვეებმა გვიჩვენეს, თუ რამდენ სწორე იყო გერმანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ინგლის-ამერიკელებისთვის საფრანგეთში ყველა რეზერვების გამოყენების გზით გადამწყვეტი ბრძოლა არ მიეცა.

მოკავშირეთა შემოჭრის დაწყებით საბჭოებმაც აწიეს თავისი მილიტარული დაძაბულობანი. ამასთან გამომჟღავნდა მათი დარტყმის სამი მთავარი მიმართულება:

ერთით მათ სურდათ მოეწყოთ გარღვევა შავ ზღვასა და კარპატებს შორის და შეჭრილიყვნენ რუმინეთსა და ბალკანეთში;

მეორით მათ უნდოდათ საგენერალ-გუბერნატოროზე — ბრესტ-ლიტოვსკ-ლუბლინ-ვარშავაზე — გავლით სოლივით შემოჭრილიყვნენ ბერლინისაკენ;

მესამე მიმართულება მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პრუსიაში შემოჭრას. ამ სამი მიმართულების გარდა, მთელი აღმოსავლეთი ფრონტი, შავი ზღვიდან მოყოლებული ბალტიის ზღვამდე, მთლიან შეუნელებელ დაწოლას განიცდიდა გერმანელთა ძალების შებორკვის მიზნით.

ფინეთის მეორე რიგის საომარ ასპარეზზეც დაიწყეს საბჭოებმა ახალი შემოტევა.

ამ მილიტარულ ვითარებასთან ერთად გერმანიის მოკავშირე ხალხებში — ფინელებში, უნგრელებში, რუმინელებსა და ბულგარელებში — გაცხოველდა საბჭოებისა და ინგლის-ამერიკელთა პოლიტიკური აქტიობა. უკანასკნელნი სცდილობდნენ ყალბი დაპირებებით, მუქარით, ღალატითა და მოსყიდვით მათი ქვეყნები გერმანიისაგან ჩამოეცილებინათ და აეძულებინათ კაპიტულაციაზე წასულიყვნენ. ამ ცდამ „მოკავშირეებს" მართლაც დიდებითი შედეგი მოუტანა და ისეთი ხალხებიც კი, როგორიც ფინელები და რუმინელები არიან, რომლებიც ასე დიდხანს გერმანიის მხარეზე გმირულად იბრძოდნენ, მათივე მერყევი და მოღალატური მთავრობების წყალობით დიდ უბედურებაში ჩაცვივდნენ. მხოლოდ უნგრეთში შესაძლო გახდა სულ უკანასკნელ წუთში სცალაზის ნაციონალური მთავრობის შექმნით, უარესი მოსალოდნელი შედეგის თავიდან აცილება.

ამრიგად, აღმოსავლეთშიც გერმანიის მილიტარული ხელმძღვანელობა თითქმის გადაულახავი სიძნელეების წინაშე იდგა. გერმანიის მტრები ზეიმობდნენ და წინასწარმეტყველნი ლონდონიდან, ნიუ-იორკიდან და სხვ. ნიშნავდნენ სულ ახალ-ახალ და მოკლე ვადებს გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის გარღვევისა და ამით მთელი გერმანიის განადგურებისათვის.

მაგრამ აღმოსავლეთშიც და სამხრეთ-აღმოსავლეთშიც გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობამ შესძლო მტრის ქვეყანაში ღრმად შეჭრილი გერმანული დივიზიების გამოყვანა და ახალი რეზერვების გამოყენებით წინააღმდეგობის ახალი ფრონტის შექმნა.

სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში ომის ასპარეზებზე მოხდა ის, რასაც ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა „გერმანული სასწაული" უწოდეს. ფელდმარშალმა მოდელმა ვარშავის წინ სექტემბერში დაამარცხა საბჭოთა რჩეული სატანკო ნაწილები, რომელთაც „მარშალი" სტალინის მიერ მკვეხრული ბრძანებით თავის საოპერაციო მიზნად ბერლინის აღება დაესახათ.

ჩრდილო უბანზე ბოლშევიკებმა მიაღწიეს გარღვევას ბალტიის ზღვისაკენ, მაგრამ აღმოსავლეთი პრუსიის მიწაწყალზე, რომელიც პრუსიის მოსახლეობის თავდადებული მუშაობის წყალობით გამაგრებულ იქნა, გერმანულმა დივიზიებმა შეაჩერეს ბოლშევიკები, ხოლო აღმოსავლეთ პრუსიაზე დასარტყმელად გათვალისწინებული საბჭოთა დივიზიების ზურგში, კურლანდიაში აღმოჩნდა გერმანიის ჩრდილო არმია, რომელიც მტერს ემუქრება და რომელმაც აქამდე ბოლშევიკების სამი დიდი შეტევა უკუაქცია, რაც მტერს სისხლიან მსხვერპლთა ჰეკტაკომბებად, ათასეულ ტანკებად, ქვემეხებად და ყველა ჯურის იარაღის დაკარგვად დაუჯდა.

დასავლეთშიც გაიჩხირა ინგლის-ამერიკელთა შემოტევა, რომელსაც არამარტო ქვემეხთა გრიალი და საჰაერო ბომბები, არამედ ასევე მძლავრი პროპაგანდისტული რიხი ახლდა თან, როცა გერმანიის დასავლეთ ციხესიმაგრეს უახლოვდებოდა. რამოდენიმე თვის განმავლობაში დიდად საზარალო ალგილობრივი ბრძოლების წარმოებით ინგლის-ამერიკელებმა შესძლეს აახენის მიდამოებში, რომელიც გერმანელთა დასავლეთი გამაგრებული ხაზის წინ მდებარეობს, გერმანული მიწაწყლის ვიწრო ზოლის დაკავება.

მოწინააღმდეგეთა პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ როგორც კი მტრის პირველი სამხედრო ერთეულები გერმანიის მიწაწყალს მიაღწევდნენ, გერმანელები მაშინვე კაპიტულაციაზე წავიდოდნენ, რადგან ისინი თავის საკუთარ ქვეყანაში არ იბრძოლებენო. აქაც სრულიად საწინააღმდეგო რამ მოხდა: არსად გერმანელ ჯარისკაცს ისე თავგამეტებითა და სასტიკად არ უბრძოლია, როგორც აღმოსავლეთი პრუსიის მიწაწყალზე და დასავლეთით გამაგრებული ხაზის წინამოედანზე. ამრიგად, მტრის პროპაგანდის ეს წინასწარმეტყველებაც ისევე არ გამართლებულა, როგორც ბევრი სხვა წინასწარმეტყველებანი ამ ომში.

სამხრეთში გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობამ ოსტატურად შესძლო საბერძნეთიდან გამოყვანა, რუმინეთისა და ბულგარეთის ღალატის გამო, გერმანიის მთავარი ძალებისაგან მოწყვეტილი დივიზიებისა და მათი შეერთება მთავარ ძალებთან.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან ამ დივიზიებთან არის გამობრძმედილი ქართული შენაერთი, რომელმაც გერმანელებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ყველა ბრძოლაში ჩრდილო-კავკასიიდან მოყოლებული ყირიმსა და ბალკანეთამდე და საუკეთესოდ ისახელა თავი.

ევროპის სამხრეთ ნაწილში ჩატარებული ლონისძიების თანაბარფასოვან მოვლენას წარმოადგენს ის, რასაც გენერალ-პოლკოვნიკმა რენდულიჩმა მიაღწია. გენერალ-პოლკოვნიკი რენდულიჩი მიმდინარე ომის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული სარდლისა და გმირის გენერალ-პოლკოვნიკის დიტლის მემკვიდრეა. რენდულიჩმა შესძლო, მიუხედავად საბჭოების ცდისა — ფრონტი გაერღვიათ და გარს შემორტყმოდნენ მის ჯარს, — გამოეყვანა გერმანული დივიზიები ყინულოვანი ოკეანის ნაპირებიდან ჩრდილო ნორვეგიაში, სადაც ისინი შეუერთდნენ ნორვეგიაში მყოფ გერმანულ დივიზიებს და მზად არიან შეასრულონ ახალი საბრძოლო ამოცანები.

რუმინეთის წაქცევით ბოლშევიკებმა მიაღწიეს უნგრეთის ღრმა დაბლობში შეჭრას. მაგრამ აქაც გერმანელებმა პლატენის ტბა-დუნაი-გრანის მხარეში და სლოვაკიის მთაგრეხილებზე ახალი ფრონტის მოწყობა შესძლეს, რომელიც მამაცურად და გმირულად არის დაცული გერმანული და უნგრული ჯარების მიერ, რაც გერმანიაში ბოლშევიკების შემოჭრის შესაძლებლობას მკაცრ წინააღმდეგობას უქმნის.

დეკემბრის შუა რიცხვებში დასავლეთში ლუქსემბურგ-ბელგიის უბანზე გერმანელების კონტრშეტევა დაიწყო, რომელმაც სრულიად გაიოცა ინგლის-ამერიკელები; ეს კონტრშეტევა მტერს ამ უბანზე მთელი არმიის შეიარაღებად დაუჯდა, გარდა ამისა, მისი სამხედრო გეგმები ხანგრძლივად ჩაშალა და ომის ინიციატივა კვლავ გერმანელების ხელში გადმოვიდა.

გერმანელების კონტრშეტევა მტრისთვის ერთი ყველაზე უდიდესი და არასასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რადგან ინგლის-ამერიკელთა ცრუ პროპაგანდა გერმანიის არმიას დამარცხებულ და განადგურებულ სამხედრო ძალად სთვლიდა. გერმანული სატანკო და საჰაერო საშუალებათა მძლავრმა შეკუმშულმა ძალამ, რომელიც ფრონტის ამ უბანზე გამოყენებულ იქნა, უდიდესი შეშფოთება გამოიწვია ინგლის-ამერიკელებში.

არანაკლებ გაუთვალისწინებელი იყო ინგლის-ამერიკელთათვის უკანასკნელი 3-4 თვის პოლიტიკური მოვლენები.

იტალიის „განთავისუფლებულ" ნაწილებში, სადაც შიმშილი ბატონობს და ყოველდღიურად გაფიცვები და არეულობები ხდება, ინგლის-ამერიკელთა საქმიანობას დიდ სიძნელეებს უქმნის გაფართოებული კომუნისტური მოძრაობა.

„განთავისუფლებული" საფრანგეთის რეჟიმის ბელადმა, გენერალმა დე გოლმა უარჰყო ბლოკი ინგლისთან და მის ნაცვლად მოსკოვს გაეშურა, სადაც საკავშირო ხელშეკრულებით შეეკრა სტალინს, რითაც ინგლის-ამერიკაზე დაწოლის ერთი საშუალება მოიპოვა იმისთვის, რათა ინგლისელებსა და ამერიკელებს უკანვე მოსთხოვოს საფრანგეთის კოლონიები.

საკუთრივ საფრანგეთში იზრდება პოლიტიკური არეულობა და ამასთან ერთად უმუშევრობა და კომუნიზმი. საფრანგეთში, სადაც სერიოზულ უმუშევრობას ადგილი არ ჰქონია, ეხლა ფრანგული მონაცემებით 3 მილიონი უმუშევარია, რომელთაგან მარტო პარიზში 300.000-ზე მეტი იმყოფება.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

გერმანელი გრენადერები კურლანდიაში ბრძოლის დროს

აკაკი წერეთელი

გარდაცვალებიდან 30 წლისთავის გამო

1915 წლის 25 იანვარს თავის საგვარეულო სოფელში გარდაიცვალა დიდი ქართველი სახალხო პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი. მან თავისი ტკბილი პოეზიის მოტივად გაიხადა სამშობლო, ქართველი ერი და მოლაშე საქართველოს იდეის სიცოცხლისთვის უმღეროდა მისი მშვენიერი მუზა.

„ტვირთვნილი მუზის" ცხოვრობს მას საქართველოში, მისი გულისთვის ხელოვანწყვეტილი იყო, ხალხის გულში დაბინავებული და ნეტარი სიტყვით ყველა გულისკუთხისაკენ მიიტანა თავისი. საქართველომ აკაკი სიცოცხლეშივე შეამკო დიდებით, როგორც ერთ ერთი საგანძური ეკუთვნის მოგვი.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ქართლ-კახეთში და მისი სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამართული იუბილე, წარმოადგენდა ჩვენი ერისთვის დიდი ზეიმის ზეობას, რადგან იუბილარი იყო და არის ქართველი ერის სული, მისი სინდისი და სიამაყე.

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურებოდა აკაკი წერეთელი ქართველ ერს. 1915 წლის მიუბრკალი იანვრის დღეს შეწყდა მიცემისგამა ამ დიდი ქართველისა. ძაძით მოსილმა საქართველომ მწარედ დაიტირა თავისი საყვარელი შვილი და მას დიდებული დასაფლავება მოუწყო. იგი დაკრძალულია ქართველის მოღვაწეთა, დიდი ილიას გვერდით, მთაწმინდაზე, რომელიც სიცოცხლეშივე შესტრფოდა ჩვენი საამაყო მგოსანი.

აკაკი წერეთელი ეკუთვნის „თერგდალეულთა" სახელოვან პლეიადას. ის იმ დროის გამოვიდა სამწერლო და საზოგადოებო ასპარეზზე, როცა დიდი ილია ჭავჭავაძის ხმამ შეაძრა ფართო მასებში გაბნეული სამყარო და ... სადაც არის საქართველო, სადაც არის ქართველობა.

ილიას დროიდან შემდეგ პოეტებში აკაკი დიდი და საყვარელი არ დაბადებულა. ილიას ეპოქის ქართულ ცხოვრებას სიმძიმისგან ... აკაკი. მრავალმხრივი იყო აკაკი წერეთლის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა: იგი იყო ლირიკოსი, დრამატურგი, რომანისტი, პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, რედაქტორი, თეატრის ხელმძღვანელი, მთარგმნელი და რეცენზენტიც კი.

აკაკი წერეთლის პოეზიის მთავარი თვისებაა მისი ორიგინალობა. იგი მხატვრული სიტყვის ნამდვილი ჯადოქარია და ზოგი რეზონატორის ზემდეგ ბადალი არა ჰყავს საქართველოში.

აკაკის მოგვლინების შეზე თავს დასტრიალებს საქართველოს, მისი თემაა საქართველო, მისი სატრფოა სამშობლო, ლეჩხუმელი, მაგრამ „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი". მისი პოეზიის მთავარი საქართველოს ეროვნული თავისუფლების იდეა, რაც მიზნად ჰქონდათ დასახული „თერგდალეულებს". აკაკიმ მხატვრულ ლიტერატურაში გაუთმოსახა, მან თავისი პოეტური თვალსაზრისი „ჩონგურში" ჩამოაყალიბა:

„მე ჩონგური მინდოდა მქონდა,
რომ სიმართლის მახვილებდა,
განამტკიცებს ამაო წმინდა
გულის სიწმინდით ახმიანებდა...
რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით,
თვალით ცრემლები ეშრობოდეს,
და მჩაგვრელს კი გულში მწარედ
ისარივით ესობოდეს..."

მაგრამ ამ იმედით ეროვნული პოეტს დროგამოშვებით პესიმიზმიც იპყრობს:

„ახ მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა!
გამიგრძე ეგ სევდის ხმა,
მაგრამ ჩემი მწუხარე
მაშიკური არა-ფერი-ფხიზლად..."

ასე მიმართავს იგი მეზურნეს. მაგრამ ამ მელანქოლიას პოეტი მალე იღწევს თავს და კვლავ იმედით შეჰყვირის შემოსძახებს:

„არა! ღვთაების იმედით!..
გული ვერ გამიტეხს ჭიღარა!..
გაბრუნებს ეშმაკს, ჩვენის
ჩემი ცეცხლი და ნაღარა".

ხშირად შეხვდებით აკაკის პოეზიაში სატრფოს; ვინ არის ეს სატრფო? პოეტი თვითონ იძლევა პასუხს:

„მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
დედამიწაზე, თავზე ლეჩაქმხვადინი".

ეს სატრფო საქართველოა, მისი მდიდარი ისტორიული წარსულით, რომელიც დღეს ჩაგრულია „მეურვის" მბრძანებლობით გაბატონებული. არ უყვარს ჩვენს პოეტს დამბრუნები მეფის რუსეთი, რომელმაც თავისუფლება წაართვა ქართველ ერს, რომელმაც რუსთაველისა და ბეტრიონის ენას, იმ ენას, რომლითაც ბუკია და ნაღარის სიმღერა, ყველენით მიეწყდა წინ დაუფარავი საბოლოვანი შეფე დავითი, რომლითაც თამარი ჰქმნიდა საქართველოს დიდებას, იმ ენას, რომლითაც დაიწერა ქართული ფილოსოფიური გარჯებანი, რუსეთმა ძაღლის ენა უწოდა:

„დამეხსენი, რუსთაველო!..
რა მაქვს შენთან საზიარო?
თვით ოხერი, მოგვალელო,
როგორ გინდა მიმიარო?
ვერ მომხიბლავ, ცრუ მოციქულო,
ვერც ენით, ვერც თვალთმობით...
შეგიძულეთ, როგორც მთვარე
გველეშაპს, ძაღლმობით..."

ლექსებს გარდა, აკაკის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი პოემებისა; პირველობა ამათგან მის ისტორიულ პოემას „თორნიკე ერისთავს" უნდა მივაკუთვნოთ. ეს არის საგმირო ეპოსი, მხატვრული სისადავით მოცემული. ძლიერ დიდ ნიშანსვლებია მისი მეორე პოემა „გამზრდელი". ზნეობისა და მოვალეობის საკითხი პოეტმა ცენტრალურ ადგილზე დაასვა ამ პოემაში. „ცემა გაზრდილს გამზრდელისა, ეგ უმა ნახო აგაზ ზრდილი" — მართალი ეს ტკბილი ბუნდოვანი დაგუგუნე შეხედულებაც უძლებ საფუძვლად ამ პოემას...

მგოსნის პოეტური ალმოდრები უმაღლეს მწვერვალს აღწევს, მაგრამ არაჩვეულებრივ ის პროზაშიც; მისი შეუდარებელი მხატვრული სიტყვა აქაც ანკარა წყაროსავით მოჩუხჩუხებს. აკაკის პროზულ ნაწარმოებში მეტად მნიშვნელოვანია „ბაში-აჩუკი", სადაც მოცემულია საქართველოს წარსულის იდეალიზაცია. მეტისმეტი მეტი სილამაზით იძლევა თვითონ პერსონაჟს პოეტი ამ ნაწარმოებში; ავტორი შეგნებულად გვერდს უვლის ნაკლს და სუსტ მხარეებს, მოგვცემს ყოველმხრივ მისაბაძ სახე მამულიშვილებისა. ეს საქმეც გასაგებია, რადგან მაშინდელ მონობაში საქართველოში, სადაც სოციალური ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ნაწილის მიერ „ნაწ-მიხედვებზე" დაკარგული ეროვნული თავმოყვარეობა. აკაკიმ ამ ზოგიერთი გადაგვარებულს გადაუშალა ჩვენი ერის მდიდარი ისტორიული წარსული. არა ერთხელ, არამედ ამ ისტორიული წარსულის იდეალიზაცია, ეს იყო საჭირო მაშინდელ საქართველოში.

დაუშრეტელია ჩვენი მგოსნის პოეზიის წყარო, შეუდარებელია იგი, როგორც პროზაიკოსი და ამავე დროს დაუფასებელია მისი საზოგადო მოღვაწეობა. ილია და აკაკი, — ეს ორი მეგობრისა ჩვენი მწერლობისა, ამ დროის გამოიდგნენ სამოღვაწეო ასპარეზზე, როცა საქართველოს ეროვნულ გადაგვარებას ემუქრებოდა; ბატონყმობის მიერ „სამოგზაურო" მოწვეულმა რუსეთმა, სტუმარ-მასპინძლობის ცხოვა გადილახა და ჩვენს ოჯახში მაგრად მოიკალათა. იგი შეიჭრა ქართველ ეროვნულ ორგანიზმში და ჩვენივე ხელით მოინდომა ჩვენი ეროვნული სხეულის განწმენა. თუ რუსეთმა მას სავსებით ვერ მიაღწია და ჩვენი ერი ეროვნულ გადაგვარებას გადაურჩა, ამის უნდა ვუმადლოდეთ ილიასა და აკაკის თაობას, რომელმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია თვითმპყრობელური რუსეთის ზრახვებს.

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს" — ეს იწერა ილიას თაობის დროშაზე და ამ თაობას ხსენებული პრინციპისათვის არასოდეს უღალატია. აკაკი წერეთელი ერთ-ერთი მეთაური იყო ამ თაობისა. ილიას თაობის იდეებს წარმოადგენდა მოლაშე საქართველო, არა დასახელება და წოდებით დაყოფილი, არამედ ეროვნულად შეკრული და ერთობით შეკავშირებული. ამ ერთობის ტრუბადური იყო სწორედ აკაკი წერეთელი.

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელი,
მტრებს „ვაი დედა" ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: დედა, დედაო!"

ილიასა და აკაკის თაობის ამ დევიზს დღესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზაზე. ქართველთა ერთობაა, დისციპლინა სხეულის ყველა ორგანიზმის ჩამოყალიბება, ეროვნული ძალების დაცვა, აი რას შეუძლია გვიხსნას ჩვენ.

დღეს, როდესაც ქართველი ერი ჩაბმულია სამშობლოსათვის სასიცოცხლო ბრძოლაში, როცა ბოლშევიკური პატრონ დიდის სოციალური პოლიტიკისათვის და მსოფლიო ბატონობისათვის მიერეკებიან ჩვენი ერის საუკეთესო შვილებს, — ამ დროს ჩვენი ოცნებები საცდელია გარკვეული. სამართლისათვის მებრძოლი გერმანელი ხალხის გვერდით, ჩვენც, როგორც ერთი კაცი, უნდა ვებრძოლოთ კაცობრიობის მტერს — ბოლშევიზმის წინააღმდეგ. წითელი რუსეთის იმპერიალიზმის ნანგრევებზე უნდა განახლდეს ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ჩვენ გვწამს, რომ საქართველო კვლავ აღსდგება, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრილმა ქვეყანამ მარად უნდა იცოცხლოს და იდღეგრძელოს...

აკაკის გარდაცვალების 30 წლისთავზე ქართველი მებრძოლი მხედრობა მუხლს იყრის ჩვენი დიდი სახალხო პოეტის წინაშე...

მოხ. ი. დურუჯილი.

ამირანი

კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი უხვევდა,
დაუღალავად მჭიდა გული.
ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ შრებოდა
და რაღაც მანქანებით
გული ისევ მოუდებოდა.
მჭიდა ჯაჭვში მოთმინება,
არც მჯერებოდა, არც ოხვრიდა;
უსამართლო ძლიერების
მორჩილად ქედს არ უხრიდა.
მოვლის მასაც გამარჯვება
დარჩა!.. ყველა გაიცა!..
და ის ლეგენდ მაგალითად
მიწის შვილთა მან გადმოსცა...
კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი,
არის მთელი საქართველო
და მტრები კი — ყვავ-ყორანი;
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს განწყვეტს გმირთაგმირი!..
სიხარულით შეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!

აკაკი.

ავადმყოფი

არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..
ვინც შენატრის ამის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს...
ბევრის ბრძოლით დაღალულსა
ეჭირვება მოსვენება!
შესცდარია, ვინც გულს იტეხს:
წყნარ არის და მოვენებს!
ჩვენ კი ჩვენდა თავად გვიტყვიან:
გულსა სწვავს და ჰკლავს სვედრა,
რომ ჯაჭვიდან არ გამჭრალა
მომავალი ბედისწერა!
მისთვის, რომ დღეს ვერარ გვარჩენს,
არა გვმართებს ორგულობა!
ჩვენს წინაპრებს თუ მჭირია,
ჩვენცა გვჭირდეს დაცუდლობა!
დედ, მისთვის გავლარიბდეთ,
ზურგს მოუდგეთ სწულის გუდა:
პატრონსაზე ცარიელ რით ხელზედ
გამდიდრებული იუდა?
არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
და როდესაც გაიღვიძებს,
მოიგონებს ამათ სახელს,
ვინც დღეს ამას არ ივიწყებს!..

აკაკი.

ერის დიდბუნებოვანი შვილი

გრიგოლ დიასამიძე

1940 წლის ივნისში ქართველებმა შინ და გარეთ დიდი ამბით გადაიხადეს ასი წლის დღესასწაული თავიანთი შესანიშნავი მგოსნის აკაკი წერეთლისა. მთელი საქართველო იცნობდა მას მარტო მისი საკუთარი სახელით — აკაკი! თავის ნაწერსაც მხოლოდ ამ სახელს აწერდა და ყველამ იცოდა, ვის ეკუთვნოდა ეს ნაწარმოები. ეს ბერძნული სახელწოდება მწერლის დაბადებამდე არ იყო გავრცელებული საქართველოში. იშვიათად შეხვდებოდით აკაკის სახელის მატარებელს. ამჟამად კი ბევრსა ჰქვია. მეტადრე რაჭა-ლეჩხუმში, სადაც 1912 წელს უბრალო მუშახალხმა მოუწყო მწერალს მეფური მოგზაურობა. ხალხისაგან ასეთი განსაკუთრებული ყურადღება თავისი შვილისადმი ნიშნავს დიდ სიყვარულს, მწერლისაგან დამსახურებულს. მართლაც ამგვარივ აკაკი წერეთელს ბადალი არ ჰყავდა ცოცხლებში!... ხალხი უყურებდა, როგორც „ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტს".

აკაკი დაბადებით დიდ გვაროვნებას ეკუთვნოდა. ბევრი ამას და თავის ტიტულს ყველას თვალში ჩასჩრიდა, იამაყებდა, მაგრამ იგი ჩვეულებრივი არსება არ იყო: პატარაობიდანვე შეიგნო: „თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა!" ჯერკიდევ პაწია, ჩვილი, მიაბარეს ის აღსაზრდელად გლეხის ოჯახში ძიძასთან... აქ ჩაეყარა ბავშვს მაგარი ფიზიკური და სულიერი საძირკველი. ამაზე განგებამ ადვილად ააგო შემდეგში მძლავრი პიროვნება და ბრწყინვალედ უწყალობა სწორუპოვარ საქართველოს... ზეშთაგონებით შემოსა, რწმენა განუმტკიცა. მისმა სამშობლოს წმინდა სიყვარულმა მოგვცა მრავალი მარგალიტი ნაწერი და აღგვიზარდა წარჩინებულნი მამულიშვილნი, ასწია მაღლა მშობელი ხალხის გონებრივი და ზნეობრივი დონე... ვისაც ბედნიერება ჰქონდა დასწრებოდა აკაკის 1908 წელს თბილისში გამართულ 50 წლის მოღვაწეობის არაჩვეულებრივ დღესასწაულს, ის ცხადად დარწმუნდებოდა, რომ ერმა და მისმა სანატრელმა შვილმა ერთმანეთი მონახეს და იცნეს. ტყუილად არ ეტრფოდა იგი ჩვენი ხალხის ზეპირსიტყვაობას!.. ცალკე მწერლები — მათ შორის თავისთავიც — არაფრად მიაჩნდა. მარტოდმარტო რუსთაველს ადიდებდა, სულმნათად სთვლიდა... ასე მაღლა აფასებდა ქართველი ხალხის შემოქმედებას. მახსოვს, რა შთაბეჭდილებით მოვისმინეთ მისი ლექცია, მიძღვნილი ერთი სახალხო ლექსისადმი, რომელიც იწყება ასე: „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეო". პოეტი აღტაცებაში მოდიოდა უცნობი შემოქმედის ნიჭით, მოსწონდა დახვეწილი ენა, ლამაზი ლექსწყობა. მოჰყავდა ლექსის სხვადასხვა ადგილი და უხსნიდა მსმენელებს მათს სამშვენიერეს; ლაპარაკობდა საზოგადოდ ქართული სახალხო ზეპირსიტყვაობის მნიშვნელობაზე, მოუწოდებდა საზოგადოებას ეკრიბა სახალხო შემოქმედების ნიმუშები და ეგროვებინა ფონდი ამ ძვირფასი მასალის გამოსაქვეყნებლად. სხვათაშორის, ზემოხსენებული ლექსიდან მოიყვანა სტრიქონი, რომელიც ეხებოდა ქალის სახის აღწერას: „წარბა-წამწამი ყორნისა პბურავდა გიშრის თვალებსა". რა სიხარულით და ღრმა ჩახედულობით აღნიშნავდა ქართველი ხალხის ესთეტიკურ უნარს შთაბეჭდილებათა გამოხატვაში!.. ამ სტრიქონში ერთი ფერი გამოხატულია ორი მეტაფორა-შედარებით: ყორანი — გიშერი!.. ორივე შავია, მაგრამ არის განსხვავებაც: თვითეულს აქვს თავისი შეფერვა-ნიუანსი! ამ ლექსს ყოველი მხრით იმდენი საერთო აქვს აკაკის შემოქმედებასთან, რომ მრავალნი ავტორობას აწერდნენ მას. მაგრამ ეს სწორე არ არის: ლექსი ჩაწერილია გორის რაიონის, სოფელ ერთაწმინდაში, სოფელ ახალქალაქთან ახლოს. აკაკის გაუკვირდა, როცა პირველად ვაჩვენე ეს ლექსი თბილისში — ისე მოეწონა!.. მახსოვს კიდევ მეორე შემთხვევა, როცა აკაკის მიაწერეს ხალხის ნაწარმოები: ზეპირგადმოცემა რაჭის ერისთავ როსტომისა და მეფე სოლომონ დიდზე. მშვენიერი ენით და ზოგან ლამაზი ლექსით აღწერილი მათი ბრძოლა, გამძლავრებული ფეოდალის დაღუპვის ტრაგედია, სოლომონის კათოლიკოსისადმი როსტომის უვნებლობის შესახებ მიცემული სიტყვის გატეხა და კათოლიკოსის მიერ განსაკუთრებული წირვის დროს თავის ხარისხზე ხელის აღება, ეს ყოვლად საინტერესო ისტორიული ამბავი ხალხის მეხსიერებაში ჩასახული და მერე ანარეკლი, ჩაწერილი იყო ვინმე სიკო კანდელაკის მიერ. ეს ხელნაწერი მინახავს პირველი ხნის ჟურნალი „კვალის" რედაქციაში. გიორგი წერეთელი ებაასებოდა დიდ მგოსანს ამის შესახებ და ხელში ეჭირა ნაწერი. შევნიშნე, რომ მასში იყო შეტანილი ზოგიერთი შესწორება, მე მგონი უფრო სტილისტური ხასიათისა. ვის ეკუთვნოდა

ჩვენი მოხალისენი აღმოსავლეთ პრუსიაში

აღმოსავლეთი პრუსიის საზღვრებს, გმირი გერმანელი ჯარისკაცების გვერდით, თავგამოდებით იცავენ ქართველი მოხალისენიც.

მტრის წინააღმდეგობის დასასუსტებლად აღმოსავლეთის ფრონტის მოწინავე ხაზები დაფარულია მავთულხლართებით, სხვადასხვაგვარი წინაღობებით, ბუნკერებით, ნაღმებითა და სხვ. ყველაფერი ეს შესრულებულია მესანგრეთა ოცეულების მიერ. ბევრი ხიფათი და განსაცდელი აქვთ გადატანილი ქართველ მესანგრეებს აღნიშნული სამუშაოების ჩატარების დროს...

O

ერთერთი დავალების შესრულებისას მტრის მეთვალყურემ შეგვამჩნია. ნაღმებმა მოძრაობა შეგვაჩერებინა და ცეცხლის რკალში მოგვაქცია.

— შეეხმეთ! — გაისმა ბრძანება.

ყველანი სანგრებში მოვთავსდით.

მოწინააღმდეგის მიერ გამოსროლილი ყუმბარა ჩვენს შორიახლო გასკდა და მეზობელი გერმანული ასეულის ჯარისკაცი მწყობრიდან გამოიყვანა. შველა სახიფათო იყო. ერთერთი მოხალისე სანგრიდან ამოვიდა, ხოხვით მიუახლოვდა მას, ზურგზე წამოიკიდა და სანგარში ჩამოიყვანა. სახელდახელოდ პირველი დახმარება აღმოუჩინეთ და იმავე სანგართან შეერთებული საფარის საშუალებით სანიტარულ ნაწილში გავგზავნეთ.

მტრის ცეცხლი შენელდა. მათი იარაღის მოქმედებამ მიზანს ვერ მიაღწია, ჩვენ კი ისევ დავალების შესრულება განვაგრძეთ.

— შესვენება! — გაისმა ბრძანება.

თვითეული მოხალისე მადიანად შეუდგა ხმელი სურსათით სადილობას... დანაყრების შემდეგ ისე გავითამამდით, რომ ტრადიციული ქართული სიმღერებიც კი დავიწყეთ.

O

ირიჟრაჟა. ყველანი ზეზე წამოვიშალეთ. ვემზადებით ისევ შრომისა და ბრძოლისათვის. ვიღაც ჩვენს ბინას აჩქარებული ნაბიჯით უახლოვდება. ეტყობა, დავალება მოაქვს.

შიკრიკი ოცმეთაურთან შეიჭრა.

რამოდენიმე წუთი და მოადგილემ ოცმეთაურს მოახსენა ოცეულის მზადყოფნის შესახებ.

დილის სალმის შემდეგ ოცმეთაურმა გაგვაცნო ახალი დავალება:

— მეგობრებო, — დაიწყო ოცმეთაურმა, — დღეს ჩვენ დივიზიიდან მივიღეთ ფრიად სასწრაფო, რთული და საპასუხისმგებლო დავალება. მისი შესრულება ათასეულიდან ჩვენს ასეულს დაევალა. ასმეთაურმა იცის, ვის შეუძლია ამის სანიმუშოდ შესრულება. ჩვენმა ოცეულმა სამუშაო უნდა აწარმოოს როგორც დღისით, ისე ღამით. ბრძანება მეტად მნიშვნელოვანია და სასწრაფოდ უნდა შესრულდეს!..

ოცეული გაემგზავრა წინა ხაზზე. სროლის ხმა ორივე მხრიდან კანტიკუნტად ისმის. ეტყობა, დაზვერვას ჯერ არ უცნობებია მოწინააღმდეგის მდგომარეობის შესახებ. სამუშაო დანაწილდა ჯგუფურად. ფრთხილად ვუახლოვდებით ჩვენს მონაკვეთს, ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობა, ხმაური და გაუფრთხილებლობა იწვევს ბრძანების შეუსრულებლობას და განსაცდელს...

მთელმა დღემ მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნევლად ჩაიარა. თანდათან ჩამობნელდა. ეხლა კიდევ მეტი შესაძლებლობა არსებობს უფრო თამამად და ენერგიულად გაკეთდეს ყველაფერი. ოცმეთაურმა შეამჩნია, რომ რამდენიმე ჯგუფმა მუშაობა შეაჩერა.

—რა მოგივიდათ!?—შეეკითხა შემკრთალი ოცმეთაური.

— არაფერი. გვინდა სხვებს მივეშველოთ, აქ უკვე დავამთავრეთ სამუშაო! — იყო პასუხი.

ეჭვი შეეპარა ოცმეთაურს, მაგრამ როცა თავისი თვალით დაინახა ყველაფერი, საშინლად გაოცდა.

ფრონტზე ბნელი ღამე იყო ჩამოწოლილი. ხანდახან მაშხალა თუ გაანათებდა მხოლოდ. ჯიბის ფანრის შენიღბული შუქით ვიღაც ჩვენკენ ფრთხილად მოიწევს. ვერ ვარკვევთ, ვინ არის. მოგვიახლოვდა. მოგვესალმა.

ჩვენი ასმეთაური გამოდგა, ათასეულში ცნობილი უფროსი ლეიტენანტი გ-კე.

— სად არის ოცმეთაური? — იკითხა მან.

მოხალისეებმა ერთმანეთს გადასცეს და ოცმეთაური მოხსენებით წინ წარუდგა.

— როგორ გაქვთ საქმე? დილამდე შეგიძლიათ დამთავრება? — შეეკითხა ასმეთაური.

— დავალება მთლიანად შესრულებულია! — მოახსენა ოცმეთაურმა.

— რას ამბობ?! — გაკვირვებით შეხედა ასმეთაურმა.

— დიახ, ბატონო! — ღიმილით უპასუხა ოცმეთაურმა, — შეიძლება უკან დავბრუნდეთ? — დაუმატა მან და ამაყად წელში გასწორდა.

ამ მოულენით განცვიფრებულმა ასმეთაურმა პირადად შეამოწმა თვითეული დეტალი, კმაყოფილებით მადლობა გამოგვიცხადა და დასასვენებლად დაგვაბრუნა.

O

იმდღეებში უფროსი ლეიტენანტი გ-კე დაესწრო მოხალისეთათვის მოწყობილ შობის დღესასწაულს. ჩვენმა დაუსრულებელმა სიმღერამ, ცეკვამ და მხიარულებამ გაოცა სტუმარი. შემდეგ ასმეთაურმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც აღნიშნა, რომ ის არ იცნობდა ქართველი ხალხის ზნეჩვეულებებს, კულტურასა და ვინაობას. იგი ქართველ ხალხს დაუახლოვდა მუშაობასა და ბრძოლის პროცესში. ამან წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე — განაგრძო მან, — განსაკუთრებით მოხარული ვარ, რომ ამ გმირი ხალხის ოცეულს მთელს ათასეულში პირველობა აქვს მოპოვებული. ქართველი ხალხი არ ყოფილა მარტო მებრძოლი და მშრომელი, არამედ მას ჰქონია მდიდარი კულტურა და ხელოვნება...

დასასრულ, ასმეთაურმა გ-კემ წაიკითხა ათასეულის ბრძანება მოხალისეთა დაჯილდოვებისა და წოდებათა მინიჭების შესახებ.

მოხ. პ. აქითელი.

ბებია ნინო ქართველ დაჭრილ მოხალისესთან ერთად.

ქართველ სამხედრო ექიმთა ერთი ჯგუფი.

ფოტო მოხ. ვ. საფარელისა.

ჩვენი ასეულის ცხოვრებიდან

№ მუშათა ათასეულში ჩვენს ასეულს ერთერთი საპატიო ადგილი უჭირავს. ბეჯითი და მუყაითი შრომის შედეგად, მან სამართლიანად დაიმსახურა საყოველთაო ყურადღება და პატივისცემა.

თითქმის ორ წელზე მეტია ასეული პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. გმირმა მოხალისეებმა ყოველდღიური ენერგიული მუშაობით დაამტკიცეს თავიანთი უანგარო სიყვარული სამშობლოსადმი. ისინი სულ უფრო და უფრო მეტი მონდომებით შრომობენ, რათა ხელი შეუწყონ ბოლშევიზმის კლანჭებისაგან სამშობლოს განთავისუფლების საქმეს.

გასულ წელს, როდესაც აღმოსავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე ასეულს უხდებოდა მეტად საპასუხისმგებლო სამხედრო დავალების შესრულება, სარდლობისაგან მივიღეთ წერილობითი მადლობა. გარდა ამისა, დღეს ჩვენ საკმაოდ გვყავს დაჯილდოებული მოხალისეები, რომელთა მკერდს ამშვენებს გერმანული წარჩინების ნიშნები.

მაგრამ მარტო თავდადებული შრომით როდი ამოიწურება ჩვენი საქმიანობა. საჭიროების დროს თვითეული ჩვენგანი მზად არის იარაღით იბრძოლოს საზიზღარი მტრის წინააღმდეგ. ასეულში სათანადო სიმაღლეზე სდგას სროლისა და იარაღის შესწავლის საქმე. გვყავს ჩინებული მსროლელები, რომლებიც საუკეთესო შედეგებს აღწევენ.

ამასწინათ ასეული მუშაობდა იტალიის ერთი პატარა ქალაქის მახლობლად. მოულოდნელად ბანდიტები დაგვესხნენ თავს, მაგრამ ჩვენი გრიგალისებური ცეცხლის შედეგად ისინი უწესრიგოდ გაიფანტნენ და უკანვე მოკურცხლეს.

ასეულში პროპაგანდისტური მუშაობაც სათანადო სიმაღლეზე სდგას. ხშირად ვღებულობთ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს, ვაწყობთ საუბრებს, ხმამაღლა კითხვას და სხვ. რამოდენიმე ხნის წინათ გაზ. „საქართველოში" წავიკითხეთ ქართველ მოხალისეთა პასუხი ერენბურგისადმი. საბჭოთა ამ მოღალატის უმსგავსო ნაჯღაბნმა ჩვენში აღშფოთება გამოიწვია. თვითეული ჩვენგანი მზად არის იბრძოლოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე სამშობლოსა და ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის.

მოხ. ბ. ვანელი.

ეს შესწორება, ამის თქმა არ შემიძლია — აკაკის თუ გიორგის? ვადასტურებ მხოლოდ, რომ ორივე მწერალი აღტაცებაში იყო ნაწარმოებისაგან. ამიტომ მე შეცდომად მიმაჩნია, რომ სერგო გორგაძისა და ს. აბაშელის რედაქციით თბილისში 1925 წელს გამოცემულ აკაკის რჩეული ნაწერების პირველ ტომში შეტანილია შენიშვნა, თითქოს თხზულებას „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე" ატყვია აკაკის სტილი და ამიტომ რედაქტორები ათავსებენ მას აკაკის ნაწარმოებთა სიაში. რედაქტორები გვაწვდიან აგრეთვე ყალბ ცნობას, ვითომ ხსენებული თხზულება პირველად დაბეჭდილი ყოფილიყოს აკაკის „კრებულში" 1898 წელს (№ 9, მაისი). ეს ნაწარმოები პირველად „კვალში" დაიბეჭდა, როცა ჯერ კიდევ სრული გამგებელი გიორგი წერეთელი იყო. შემდეგ, თუ არ ვცდები, ცალკე წიგნადაც გამოიცა სოსიკო მერკვილაძის მიერ.

ასეთი იყო ღვიძლი ნათესაური კავშირი აკაკისა და ჩვენი ხალხის შემოქმედებას შორის...

ასე და ამგვარად ხალხი და აკაკი მჭიდროდ იყვნენ შეთვისებულნი!.. ამიტომ გასაკვირველი არა იყო რა, რომ ხალხის გულიდან გამოსული მამულიშვილური გრძნობით აღტყინებული გონიერი პირები ბლომად ეხვეოდნენ გარს მგოსანს და დიდ მეგობრულ სამსახურს უწევდნენ, ზოგჯერ სრულიად უანგაროდ. მათი ყველას ჩამოთვლა პირდაპირ შეუძლებელია. დავასახელებთ ზოგიერთებს, რომელნიც გვახსენდებიან და რომელნიც ჩვენი პირადი ნაცნობებიც იყვნენ. არ დამავიწყდება არასოდეს უკვე ნახსენები სოსიკო მერკვილაძე, მწიგნობარი და მისი ძმა ნოშრევანი, თერძი. ეს ორნი იყვნენ პატრიოტული იდეების ხალხის ფართო წრეებში გატანის ფანატიკოს-პიონერები; ასევე მეგობარი მგოსნისა, ახოვანი მოხუცი თერძი ანდრია კაპანაძე. აკაკი მას მუდამ ეხუმრებოდა. ერთხელ ამ ანდრიას მოეწერა აკაკისთვის და ეთხოვა ვალის დაბრუნება. აკაკის სწორედ მაშინ არ შესწრებია ფული და უპასუხნია საობუნჯო ლექსით, რომელიც ასე იწყებოდა: ჩემო ძმაო ანდრიაო, ფულის თხოვა აღრეაო. ეს ლექსი მუდამ თან დაჰქონდა კაპანაძეს. აკაკისთან ერთხელ შეხვედრისას მაჩვენა მან და სამივემ ბევრი ვიცინეთ. ფული მაშინ, რასაკვირველია, გადახდილი ჰქონდა პოეტს. ძალიან საწყენია, თუ ეს ლამაზი ხუმრობა დაიკარგა. თვალსაჩინო პიროვნება იყო მწერლის გარშემო იასე რაჭველიც. მისი ნამდვილი გვარი იყო მეხუზლა, შთამომავლობით გურული. ემიგრანტის მდგომარეობა ჰქონდა. უმეტესად სტამბოლში სცხოვრობდა. ზოგჯერ საქართველოში ჩნდებოდა ფარულად, უკანასკნელ ხანაში კი ცხადად. მწერლობდა: იასე რაჭველი — მისი ნატყუარი ლიტერატურული სახელი იყო, ფსევდონიმი. შესამჩნევი პიროვნება იყო ვასილ კირვალიძეც, მგოსნის მეგობარი — მსახური, თვითონაც მოლექსე, აკაკის მზაძავი. მაგრამ ვინ მოსთვლის აკაკის ყველა მეგობარს?!.. როგორც ვთქვით, ეს შეუძლებელი საქმეა!.. ერთი კი უნდა ეხლავე მოვიხსენიოთ: ბერი სამსონი ათონიდან — ამ ქართული ეროვნული კულტურის ძველი კერიდან. აკაკი დიდ მნიშვნელობას აძლევდა უცხოეთში დაარსებულ ქართველთა მონასტრებს. მგოსანი მორწმუნე ადამიანი იყო, საღმრთო მწერლობის დიდი მცოდნე. არ იყო ფანატიკოსი: ბერი, მღვდელი სწამდა როგორც ხალხის მსახური, მამულიშვილი. ასეთი სახე მოგვცა თავის „თორნიკე ერისთავში".

აკაკი დიდი წმინდა გულის პატრონი იყო და ამიტომ მაღალი ზნეობისა. ამით აიხსნება მისი უსაზღვრო გავლენა ყველაზე გრძნობიერ ელემენტზე — ხალხზე და ახალგაზრდობაზე.

აკაკის მიმზიდველი ხასიათი ჰქონდა. მას ეხერხებოდა ალფრთოვანების გამოწვევა ბავშვებში, რაც მეტად ძნელია: საჭიროა ნიჭი, სიწრფელე, გულის სიწმინდე, რამდენად უფრო ადვილი იყო მოზრდილი ყრმობის გულის მონადირება მისთვის. ყველა უწყის, მან შექმნა მთელი სკოლა პოეტებისა. მიიზიდა ესენი არამარტო პოეტური ნიჭით, არამედ ზნეობრივი პიროვნებით, მამობრივი უბრალო ქცევით, უდიდესი წმინდა მოყვარულობით. სხვათა შორის, მისი ცხოველმყოფელი მორალური გავლენა მეც განვიცადე პატარაობიდანვე. ის მეგობრობდა მამაჩემს, ჩვენს ოჯახს. ზოგჯერ დაურიგებივარ და ამიტომაც ამცდენია შეცდომები...

მეტად ძნელია ასახვა დიდი პიროვნებისა სამშობლოს გარეთ. ვერ ესარგებლობ ვერც ჩვენი მიწერმოწერით, ვერც იქ დარჩენილი სათუთად და მოწიწებით შეგროვილი მასალით. მაგრამ, ვაი უბედურებავ, ვერც საქართველოში აღმოჩნდა სათანადო პირობები დიდი მწერლის უტყუარად და ღირსეულად დასახასიათებლად. მისი დაბადების ასი წლის დღესასწაული იქ გამოიყენეს სააგიტაციო მიზნით. აკაკის არასოდეს არ ულიარებია „კლასთა ბრძოლის" ნატყუარი მოძღვრება. მას არ სწამდა არც ჯგუფი, არც პარტია, არც წოდებრიობა. მას სწამდა მშრომელი ხალხი — მუშებსა და გლეხებს უძღვნა მრავალი ნაწერი. მხედველობაში ჰქონდა ერის განუყოფელი ორგანიზმი. ამჟამად ცოცხალი რომ ყოფილიყო, მიემხრობოდა ქართულ ნაციონალურ მოძრაობას, რომლის მიზანია ერის მთლიანი, ტოტალური აყვავება-აღორძინება...

მრავალჟამიერ

მოხ. ამური

მე მესიზმრება ძმა და მოკეთე, —
მიწა მზის ფერით განაფერია...
ეს, მეგობარო, არაფერია
ქართლის კარები რომ გამოკეტეს.

ვერ წაშლის ციდან ლრუბლის
ტბორები
იმ ვარსკვლავების ციმციმს და რიალს.
გავივლით ისევ ვიწრო დარიალს
და თბილისს ისევ ვეამბორებით.

მამადავითზე ყანწებს ავიტანთ,
და წმინდანების სალოცავიდან
ახალ სიმღერებს ვიტყვით ამიერ..

და ცეცხლიანი ეს საუკუნე
დადგება ჩვენთან, დაიგუგუნებს:
„მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ".

ჩერჩილის პოლიტიკა უცვლელია

— უკვე ლაჲ ბეჯითი ხერხვით შედეგი მიღწეული იქნება.

მოკლე ცნობები

* ლონდონიდან იუწყებიან, რომ ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სტეტინიუსის ინგლისში გამგზავრება გადადეს დასავლეთის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

* ამერიკული პრესა სწერს, რომ დასავლეთის ფრონტზე გერმანულმა ტანკებმა დაამტკიცეს თავისი უპირატესობა „მოკავშირეთა" ჯავშნიან ნაწილებთან შედარებით. 7,5-სანტიმეტრიანი ქვემეხები ვერავითარ ზიანს ვერ აყენებენ ტანკის ჯავშანს.

* გერმანული წყაროებიდან ირკვევა, რომ არდენთან ბრძოლებში 5 იანვრამდე მტერმა დაჰკარგა 90.000 კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით, დაახლოვებით 25.000 ტყვე, 1.250 ტანკი, 810 მძიმე და საშუალო ყალიბის ქვემეხი და მრავალი ტყვიამფრქვევი, ხაზნიანი ქვემეხი, ტანკსაწინააღმდეგო იარაღი და სხვ. ამავე დროის განმავლობაში ჩამოგდებულია 248 თვითმფრინავი.

* სერბიის ლტოლვილთა ცნობებით, ბელგრადში ცხოვრება მეტად ჩამკვდარია. საბჭოთა ადმინისტრაციამ მოახდინა ბევრი მაღაზიისა და სახელოსნოს რეკვიზიცია. სხვა მაღაზიები, რომლებიც ვაჭრობდნენ კოლონიური საქონლით, დახურეს. სერბთა-სახლეების ტრიბუნალი მარავი აგრეთვე რეკვიზირებულია და შეცვლილია რაიონებით ეძლევათ მხოლოდ ნდობითაღჭურვილ პირებს.

* ათენში უოჯის დროს ჩერჩილზე მოეწყო ორი თავდასხმა.

* ამერიკის სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ სამხედრო მატარებლების დაცვისთვის საფრანგეთში შექმნილია ამერიკელთა სპეციალური ათასეულები. მოუხედავად ამისა, ხარტიკა ზომებისა, ხაბოტაჟის აქტები რკინიგზაზე კვლავ გრძელდება.

* ლონდონიდან იუწყებიან, რომ ახალ წელს, დილით, ინგლისის ზოგიერთ რაიონში შემჩნეული იყო მიწისძვრა. მიწისძვრა ბიძგები მანჩესტერის, შეფილდისა და ნიუკასლის რაიონებში 2 წუთს გრძელდებოდა.

* „დეილი-მეილის" ნიუ-იორკელი კორესპონდენტი სწერს, რომ ამერიკის პრეზიდენტი რუზველტი თებერვალში უნდა შეხვდეს სტალინსა და ჩერჩილს. შეხვედრის ადგილი ჯერ გამორკვეული არ არის.

* ინგლისის მეფემ ინგლისელი ხალხისადმი საახალწლო მიმართვაში გარკვევით აღნიშნა: იმპერიამსა და იაპონიის წინააღმდეგ იმუღება მხოლოდ ნახევარგზაზე და ინგლისელ ხალხს ჯერ კიდევ მოელის დიდი განსაცდელი.

* ტოკიოდან იუწყებიან, რომ ამერიკის ავიაციამ ხელახლა მოეწყო თავდასხმა ოსაკას რაიონზე (მეუ-იაპონია). სამაერო თავდაცვამ ააძულა მტერი უკან გაბრუნებულიყო. ამერიკელთა დანაკარგი მეტად დიდია.

* ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ვილიამ ტემპლის სიკვდილის შემდეგ, კენტერბერიელი არქიეპისკოპოსისა და ინგლისის ეკლესიის მეთაურის თანამდებობის თავისთავზე აიღო გეიფერი ფრანცის ფიხშერმა.

* პარიზში სამხედრო სასამართლოს გადასცეს ათი ამერიკელი ჯარისკაცი. მათ ბრალი ედებათ სამხედრო ნივთების მოპარვასა და კერძო ბაზარზე გაყიდვაში. ორმა მათგანმა მონმარტრზე მოაწყო შეიარაღებული თავდასხმა და გაიტაცა 2 მილიონი ფრანკის ღირებულების ძვირფასი ნივთები.

საინტერესო თემაზე
პროჟექტორი უჩინარი სხივებით

დაუღალავი მუშაობით თვალთვალებს მეცნიერული კვლევაძიება ელექტრომაგნიტური ტალღების თანამედროვე თეორიის დიდ შენობას. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ულტრაიისფერი სხივები, რომლებიც ჩვენი სხეულის კანს მისაკარებლად აძლევენ, ულტრაწითელი სხივები, რომლებიც თბილიან, სინათლის სხივები, რომლებიც ხშირად მთელ გარემო ქვეყნის მომაჯადოებელ ფერებში გვიხვევენ, რენტგენის სხივები და ბოლოს მთელი ცნობილი ტალღებისა, რომლებითაც ელექტრონის რადიოტელეგრაფიული საშუალებას, — შეადგენენ ელექტრომაგნიტური ტალღების ერთ დიდ ოჯახს.

ამ ოჯახიდან უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მის განსაკუთრებით იყენებენ სწორედ თანამედროვე ომის პირობებში. აღნიშნული ტალღები ვრცელდებიან სწორხაზობრივად, თუ მათ რამე დაბრკოლება არ გადაეღობათ. სათანადო ნივთიერებებთან დაჯახებით ისინი უკუქცევას ან გარდატეხას განიცდიან. როცა, მაგალითად, პროჟექტორი ღამით თვითმფრინავს მოანათებს, ჩვენ ვხედავთ თვითმფრინავს იმიტომ, რომ ის სხივების ერთ ნაწილს უკუაქცევს. მტრის თვითმფრინავი დაინტერესებულია სხივთა ეს უკუქცევა თავიდან აიცილოს. მან უნდა მიმართოს ისეთ საშუალებას, როგორსაც მიმართავს ქურდი, რომელიც ღამით შავ ტანსაცმელს იცვამს, რათა ამით ბნელ გარემოში უჩინრად დარჩეს. იქნება თვითმფრინავსაც უშველის შავად შეღებვამ? მაგრამ იგი ერთ სიძნელეს ელობება. ამერიკელების ზოგიერთი ორთქლიანი ფენები პროჟექტორის სინათლეს გადატეხავენ და აბნევენ. ამით ბაერში იქმნება ერგვარი ნათელი ფონი, რომელზედაც შავი თვითმფრინავი მკაფიოდ მოსჩანს. თავდამსხმელი თვითმფრინავი სცდილობს ისეთი ფერი გამონახოს, რომ ბნელში ან პროჟექტორის სინათლეზე უჩინარი გახდეს, თავდაცვის სამსახურში მდგომი ტექნიკა კი პირიქით ეძებს ახალსახალ საშუალებებს თვით ძლიერ ოსტატურად შენიღბული თვითმფრინავების აღმოსაჩენად. გამოიგონეს პროჟექტორები, რომელნიც უჩინარი სინათლის სხივებს მიმართავენ თვითმფრინავისაკენ. შეიძლება სათანადო, განსაკუთრებით მოკლეტალღიანი ელექტრონის სხივები პროჟექტორის ჩვეულებრივ სინათლესავით შევამჩნიეროთ და ეს უჩინარი სინათლე ზეცისაკენ მივმართოთ. ელექტრონული თვისებების მქონე სავნები, რომლებიც თვითეულ თვითმფრინავში ბლომად მოიპოვებიან, ამ სხივებს უკუაქცევენ. სათანადო აპარატების საშუალებით შეიძლება ამ უკუქცეული სხივების დაჭერა და ამით თვითმფრინავის დანახვაც.

თავდამსხმელი თვითმფრინავი ეძებს საშუალებებს, ამ უჩინარ სხივებსაც ასცდეს ან დაემალოს. რადგანაც ეს სხივები განსაკუთრებით საშიში არიან, ვინაიდან ისინი უხილავს ღამეში და უქმელს ღრუბლებშიც თავიანთ გზას ირევე მიმართულებით თავისუფლად აგნებენ. თვითმფრინავისათვის ამ ამოცანის იდეალური ამოხსნა იქნებოდა „ელექტრონულად შავი" თვითმფრინავი, ე. ი. ისეთი, რომელსაც ელექტრონის სხივებიც ვერ ამჩნევს, ანუ რომელიც ელექტრონის სხივებზე არ მოქმედებს. მაგრამ ასეთი თვითმფრინავი ჯერჯერობით ტექნიკურად მიუღწეველად ითვლება. ამიტომ თვითმფრინავი მიმართავს სხვა ხერხებს. ასეთია, მაგალითად, ე. წ. სტანიოლის ჰილდის ვერცხლისფერი ნაჭრების გადმოყრა, რომლებსაც ხშირად ვხედებით ქუჩებში თუ მინდვრებში საჰაერო თავდასხმების შემდეგ. რადგან თვითმფრინავს არ შეუძლია თვით უჩინარი სხივებისთვისაც უჩინარი გახდეს, ის სცდილობს თავის გარშემო შექმნას რამდენიმე შეიძლება ფართო ფენა, რომელიც ელექტრონის უჩინარ სხივებზე ისევე მოქმედებს, როგორც თვითონ თვითმფრინავი. ასეთი თვისება აქვს სტანიოლის ჰილდს, რომლის მსუბუქ ნაჭრებს უთვალავი რაოდენობით ჰყრიან თავდასხმის დროს და რომელნიც ღრუბელსავით ჰფარავენ თავდამსხმელ ბომბდამშენებს. ესენი იმედოვნებენ, რომ ამით უკუქცეული ელექტრონსხივების დაჭერა აპარატს კვალი დაებნევა და მიუგნებელი დარჩება.

ამრიგად, მეცნიერება — ფიზიკა და ტექნიკა — ორივე მხარეზე დაუღალავად იბრძვის. მეცნიერების თეორიულ მიღწევებს ხშირად უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თეორიული სიღრმითა და სიფრთხილით ცნობილი გერმანული მეცნიერება თავის ამოცანას ბრწყინვალედ შეასრულებს.

დ-რი ლუდვიგ კიულე.

ქართველი პროპაგანდისტები.

ფოტო მოხ. ვ. საფარელისა.

1944 წელი

ბელგიაში, ინგლისელების მხარდაჭერით, დამკვიდრება შესძლო პიერლოს მთავრობამ, რომელსაც მოკავშირეები ემხრობიან. სტალინმაც შეინარჩუნა იქ კომუნისტების მოძრაობა, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა მოეწყო გენერალური გაფიცვა და საყოველთაო აჯანყება იმიტომ, რომ მას არ სურს ამჟამად ზიანი მიაყენოს მოკავშირეთა ჯარების მოძრაობას დასავლეთის ფრონტზე.

სხვა პოლიტიკური მოვლენებიც საკმაოდ ნათელს ჰფენენ სამივე „მოკავშირის" ურთიერთობებს. პოლონეთის ემიგრაციის მთავრობამ აგვისტოში ლონდონიდან მოაწყო ვარშავის მოსახლეობის პროვოკაციული აჯანყება გერმანიის წინააღმდეგ. მათ პირველ რიგში საბჭოებმაც აღუთქვეს დახმარება. აჯანყების დაწყების შემდეგ საბჭოებმა ყოველგვარი სახის მხარდაჭერისაგან თავი შეიკავეს, მისგან შორს დაიჭირეს თავი და მასთან პოლონეთის ემიგრაციაც და ვარშავის აჯანყების მეთაურებიც ავანტიურისტებად, მოღალატეებად და პროვოკატორებად დასახეს. საბჭოების ზრახვა ამ შემთხვევაში სრულიად ნათელი იყო: მათ სურდათ ნაციონალისტურად მოაზროვნე პოლონელების ჩაკვლა, რათა შემდეგ დაპყრობილ პოლონეთში თავისუფალი თარეშის საშუალება ჰქონოდათ. ვარშავის მოსახლეობის ერთი ნაწილი სწორეთ იმ ორმაგი პროვოკაციის ანკესზე წამოეგო, რომელშიც თანაბრად უდევთ წილი როგორც ემიგრაციას, ისე საბჭოებს. ეს მას ადამიანთა მძიმე მსხვერპლად და თავიანთი ქალაქის სრული განადგურების ფასად დაუჯდა. ვარშავის აჯანყების შემდეგ უკვე დიდიხნის განმავლობაში არსებული ურთიერთობა ლონდონში მყოფ პოლონეთის ემიგრაციასა და მოსკოვს შორის აშკარა ბრძოლად გადაიქცა. მოსკოვმა საკუთარი პოლონური მთავრობა შექმნა ლუბლინში და ოფიციალურადაც იცნო იგი. ამით ნათელი გახდა მოსკოვის განზრახვა მთელი პოლონეთის ანექსიის მოხდენის შესახებ. ამავე დროს ინგლისისა და ამერიკის მთავრობებს სურთ ჯერჯერობით ისეთი სახე შეინარჩუნონ, თითქოს ისინი ლონდონის პოლონურ ემიგრაციას პოლონეთის ერთადერთ წარმომადგენლად სთვლიან და მათ კიდეც განაცხადეს ამის შესახებ. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. სინამდვილეში ინგლის-ამერიკელებმა პოლონეთი, სულ ცოტა რომ ვთქვათ, გააუქმეს და მოსკოვს დაუთმეს. ამის შესახებ კი მათ დროებით მაინც არ ძალუძთ ხმამაღლა განაცხადონ თავიანთ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივ აზრს დიდხანს არწმუნებდნენ, რომ ეს ომი მათ მიერ პოლონეთის, ისევე როგორც სხვა პატარა ერების დასაცავად იყო დაწყებული. 1939 წელს მათ უარჰყვეს გერმანიის მიერ შემუშავებული უმნიშვნელო კორექტურა პოლონეთის საზღვრებისა, დღეს კი პრაქტიკულად საბჭოებს დაუთმეს მთელი პოლონეთი.

მეორე დიდი გადაუწყვეტელი პრობლემა, რომელშიც მოსკოვისა და ლონდონის ურთიერთობა აშკარავდება, არის ბალკანეთი. სერბია, მონტენეგრო, ალბანეთი, ბულგარეთისა და საბერძნეთის ნაწილი მოსკოვის მხარდაჭერით კომუნისტური „მარშლის" ტიტოს სამფლობელოდ გადაიქცა. ამით მოსკოვი აფართოებს თავის სწრაფვას ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვისკენ და მრავალ ადგილას ეჯახება ინგლისის მსოფლიო იმპერიის სასიცოცხლო ინტერესებს.

საბერძნეთში, რომელიც ძველთაგანვე ინგლისის სამემკვიდრეო გავლენის სფეროდ ითვლებოდა, სასტიკი სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ინგლისის ჯარები იბრძოდნენ კომუნისტების ხელმძღვანელობით არსებული კლასის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ.

ქვეშქვეში ბრძოლა მოსკოვსა და ლონდონს შორის სწარმოებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც — თურქეთში, ირანსა და ერაყში. ეგვიპტეში, სირიასა და სხვა არაბულ ქვეყნებშიც სცდილობს მოსკოვი შესდგას ფეხი, სარგებლობს რა იმით, რომ ინგლისს მისი მოკავშირეობა სჭირდება გერმანიის წინააღმდეგ ომში; მოსკოვი იყენებს მთელ შესაძლებლობას თავისი ძალების პოზიცია განამტკიცოს ყველა მნიშვნელოვან პუნქტში. მოსკოვ-ლონდონს შორის წარმოებულ ორთაშუა ბრძოლაში ამერიკელები მომლოდინის როლს ასრულებენ.

დასასრული შემდეგ ნომერში

გასართობი

ჭადრაკი

ამოცანა № 19

ფრ. ფონ ვარდენბურგი



შამათი 2 სვლაში

თეთრები: მეფ2, ლ¢7, ეტდ7, კძ5, პე5 (5).

შავები: მეფა6, მხc7, პა5 (3).

ეტიუდი № 5 გადაწყვეტა

№ 50 (127):

1. e5 — e6 +	1. ლf7 : e6
2. კd1 — g4	2. ლe6 : g4
3. ეტc4 : g4	. . . . თეთრები იგებენ
1. e5 — e6 +	1. მეფd7 : e6
2. კd1 — b3	2. ლf7 — g6 +
3. ეტc4 — g4 +	თეთრები იგებენ.

იცით თუ არა თქვენ?

...რას ნიშნავს ძველი და ახალი სტილი?

ძველი სტილი (იულიუსის კალენდარი) შემოღებულია იულიუს კეისრის მიერ ჯერ კიდევ 446 წელს ქრისტეს დაბადებამდე. ნიკეის საკრებულომ 352 წელს მიიღო ეს კალენდარი, როგორც საფუძველი ქრისტიანული წელთაღრიცხვისათვის. ამ კალენდრით სამ მომდევნო წელს აქვს 365, ხოლო მეოთხეს — ნაკიანს — 366 დღე. ყოველ 128 წელიწადში ეს კალენდარი ასტრონომიულთან შედარებით ივიანებს ერთი დღე-ღამით. ახალი სტილი შემუშავებულია გრიგორ მე-13 მიერ 1582 წელს (გრიგორიანული კალენდარი). ამ კალენდრით ყოველ 40 წელიწადზე მოდის 9 ნაკიანი წელი. გრიგორის კალენდარი ასტრონომიულ კალენდარს ჩამორჩება ერთი დღე-ღამით მხოლოდ 4240 წელიწადში ერთხელ. რეფორმით გადაწყვეტილი იყო გამოეტოვებინათ 10 დღე. 1582 წლის 5 ოქტომბრის ნაცვლად 15 ოქტომბერი. მე-20 საუკუნეში განსხვავებამ იულიუსისა და გრიგორის კალენდრებს შორის მიაღწია 13 დღეს.

ქართული ენის კურსები

ქართველთა საკავშირო შტაბმა, ბ-ნი რევაზ გაბაშვილის ხელმძღვანელობით, გახსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები.

მეცადინეობა დაიწყო 15 იანვრიდან (კოლონიენშტრასე № 66/2). სასწავლო დრო და დღეები განაწილებულია შემდეგნაირად: სამშაბათობით და ხუთშაბათობით 17 საათიდან 19 საათამდე, შაბათობით — 14 საათიდან 16 საათამდე.

მსურველთ შეუძლიათ დასწრება, ქართველი ბავშვებისათვის სავალდებულოა.

ქართული საკავშირო შტაბი.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გადასცეთ მადლობა მხურვალე ხალხისა და განსაკუთრებული მადლობა ბ-ნ ნიკო ნაკაშიძის მეუღლეს, ქ-ნ ეთერს საახალწლო ჩიჩილაკის სამკაულისათვის, რომელიც მან გამოუგზავნა ლუდენის სამხედრო ლაზარეთში მყოფ ქართველ ავადმყოფებსა და მათ მოსალოდნელ.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, მსურს მივმართო გერმანიაში მცხოვრებ პატივცემულ ქართველ ქალებს მიბაძონ ამ მადლიერებელ მაგალითს და შესაძლებლობისამებრ ყურადღება არ მოაკლონ სამშობლოსათვის ბრძოლაში დაჭრილ თუ დაავადებულ ქართველ მოხალისეებს, რომელთა მშობლებისა და ახლობლების მაგიერობას ეწევა მხოლოდ ჩვენ — აქ მცხოვრები ქართველი ქალები და ქალიშვილები.

პატივისცემით: ბებია ნინო.

პასუხები მოსაწერე

მოხ. ქ. ბ-ძეს: თქვენი ლექსი სუსტია. არ დაიბეჭდება.

მოხ. ქ. დ-ს: რედაქცია მოელის თქვენს კორესპონდენციებს.

მოხ. ბ. ნ-ს: თქვენი კორესპონდენცია კარგია, დაიბეჭდება შემდეგ ნომერში. მოიწერეთ მსგავსი მასალები.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 15 იანვრის ნომერში (131) მოთავსებულ ქართულ კალენდარში გაპარულია კორექტურული შეცდომა: ბზობა აღნიშნულია თიბათვის, 9 მაისს, უნდა იყოს: კვირას, 29 აპრილს.

მთავარი რედაქტორი
გრ. ჩადუნელი

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Potsdam, am Minenberg, Baracke 47.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა